საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

შაბათი 22 იანვარი 1921 წ.

ერთობა

30 მანეთი

გაზეთის ფასი თვეში **500 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **20 მანეთი**, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **20 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **15 მანეთი**, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) **500 მანეთი**. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება **ერთობის ქ. № 4**, შესასვლელი რუსთაველის ქუჩის № 18-იდან, რედაქციის ტელეფონი 14—70, კანტორის 18—62

№ 15 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ დათუთქული შვილები გიორგი და ალექსი ჩიხლაძეები რძალი ანეტა მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 22 იანვარს, სოფ. სამხვთოში (გურია) დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენთვის საყვარელი და დაუვიწყარი დედის

ირინეს

სულის მოსახსენებლად. (208 5—4)

ხაშურის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხანაგებს, რომ კვირას 23 იანვარს, ქ. ხაშურში ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ბიუროში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ორმოცი დღის სიკვდილის შესრულების გამო დაუვიწყარი და საყვარელი ამხანაგის

იოსებ ფილიპეს ძე უაჭეიშვილის

სულის მოსახსენებლათ (225—3—3)

სახალხო გვარდიის მეანგრე ბათალიონის ოფიცრები და გვარდიელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულ გარდაცვალებას ამავე ბათალიონის გვარდიელის

სტეფანე არუთინას ძე ბევორქოვისა

დაკრძალვა დღეს, დილის 10 საათზე, ხოჯივანქის ეკლესიის გალავანში, გამოსვენება ვაზნენის ქ. № 4.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა სპირიდონ კაჭარავა, ძმები და დები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 23 იანვარს, სამხედრო სობოროში წირვის შემდეგ გადახდილი იქნება წლის თავის პანაშვიდი ძვირფასის

ნინო სპირიდონის ასული კაჭარავას

სულის მოსახსენებლად. (240 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მარია იოსების ასული ცანავასი, ძმა გრიგოლი თევდორეს ძე, რძალი პაშა კონსტანტინეს ასული და ქრისტინა თევდორეს ასული გაბისონიასა, სიძეები კირილე თევდორეს ძე დანელია, ვლადიმერი მიხეილის ძე გაბისონია ვაუწყებთ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი

იასონ თევდორეს ძე ცანავასი

გარდაცვალებას. დაკრძალვა ოცდა სამ იანვარს, დილით კვირას ნახუნოვის წმინდა გიორგის ეკლესიაში. (ფ 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მაიკო; ძმები ლევან და კაპიტონ; დები მარო და თამარა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ოთხშაბათს, 19 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვლადიმერ მიხეილის ძე კოზახიძე

დასაფლავება კვირას, 23 იანვარს ს. ხეთაში. (259 1—1)

დამწუხრებული დედ-მამა კესარია ივანეს ასული და ბესარიონ (ევტროფი) ითამის ძე ბერიძეანები. შვილებით შოთა, ჯიოკონდა, იოლანდა და კაცი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარის შვილის და ძმის

შალვას (კუტუნია)

ნახევარი წლის გარდაცვალებას, წირვა და პანაშვიდი კვირას, 23 იანვარს რკ. გზ. სავადმყოფოს ეკლესიაში დილის 11 საათზე. (258 1—1)

ომში დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირს აქვს გახსნილი

სასადილო „ბლან-ნუარ“

პლეხანოვის პროსპ. № 83.

ცხელი საჭმელები
ცივი საუზმეულობა
სასმელები

კავშირის წევრთ ეძლევათ სადილ ვახშამი ოცოც მანეთად (20 მან.)

(ნ. 7—4) გამგეობა.

საყურადღებოთ

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მან გახსნა

ფეხსაცმელების სახელოსნო

(ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4 ინვალიდების სახლში) ფასები ძლიერ დაკლებულია. დანაკვეთის დროზე ასრულებისა და საქონლის ხარისხისათვის სრული პასუხისმგებელია კავშირი.

(ნ. 7—4) გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მის საკუთარს სახელოსნოში ქ. ბათომში მზადდება

გამბუკის ავეჯეულობა

ლოგინები, სკამები, მაგიდები და სხვა. დაკვეთა შეიძლება ქ. ბათომში, კავშირის განყოფილებაში და ქ. ტფილისში, გამგეობის ბინაზე (პლეხან. პრ. № 139).

(ნ. 7—4) გამგეობა.

კახური თეთრი ღვინო
ბოთლი 200 მანეთი

სომხის ბაზარი, უგულნაია ქ. № 3. ჯიგრაშენის ეკლესიის პირდაპირ

„კულტურა“

(236 2—2)

ოზურგეთის კომერციული
ბანკის
„ოზკომბანკი“-ს

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ ბანკის წესდება დამტკიცებულია 1920 წ. 23 დეკემბერს და ამა 1921 წლის 5 იანვრიდან დაიწყება ხელის მოწერა ხსენებულ ბანკის აქციებზე.

ძირითადი თანხა ბანკისა განსაზღვრულია 5 მილიონი მანეთით.

თითო აქცია ღირს 1000 მანეთი, ათი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას. ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების პირველი ნახევარი (500 მ.) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ ერთდროულად ორასი (200) მანეთი თითო აქციაზე.

ხელის მოწერა მიიღება 5-დან 30 იანვრამდე შემდეგ ადგილებზე:

ქ. ოზურგეთში საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში.
ქ. ტფილისში „ცენტრო ბანკში“.
ქ. ქუთაისში დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.
ქ. ბათომში კონსტანტინე სიკოს ძე ტუღუშთან და ივანე დავითის ძე გოთუასთან.
ქ. ფოთში აქციონერულ სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.
ქ. ლანჩხუთში თეოფანე პეტრეს ძე სიხარულიძესთან.
ქ. ჩოხატაურში ფიმლონ ბიჭიას ძე ჩხიკვაძესთან და მასიკო ნიკოლოზის ძე ცინცაძესთან.

ოზურგეთის კომერციული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

(ნ. 3—3)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭო ამით აცხადებს, რომ ამა წლის თებერვლის 1-ს ქ. ჭიათურაში „კლუბის“ დარბაზში, დღის 12 საათზე დანიშნულია

შავი ქვის მრეწველთა

არაჩვეულებრივი

ყრილობა

საგანი ყრილობისა: „ჭიათურის ხეობებში მისავალ რკინის გზების გაყვანა“. (254 2—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

დღეს, იანვრის 22-ს
მეხუთედ

უგვირგვინო მეფენი

კვირას, იანვრის 23-ს
მეოთხედ

ანტიგონე

სამშაბათს, იანვრის 25-ს
მესამედ

მარიამ მაგდალინელი

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს
პირველად

სამშობლო

ლიტანიით

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

პარასკევს, 28 იანვარს, სახელმწიფო დრამის თეატრში შუადღის 12 საათზე, დანიშნულია ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა

საგანგებო კრება

განსარჩევია საბჭოს მოქმედება და მიმდინარე საკითხები. (ნ. 3—2)

საჭიროა გამოცდილი მებაღე

— ხკრის სახელმწიფო მამულისთვის —

პირობებისთვის: სახელმწ. მამულთა განყოფილების გამგესთან მიწათ მოქმედების სამინისტროში, ან მამულის მოურავთან სად. სკრა. (221—5—2)

სახელმწიფო ოპერა

შაბათს, 22 იანვარს, ოპერა მუშებისათვის,

სევილიელი დალაქი

კვირას, 23 იანვარს, **ტრავიატა**, ორშაბათს, 24 იანვარს, **დუბროვსკი**, სამშაბათს, 25 იანვარს **აბესალომ და ეთერი**. ოთხშაბათს, 26 იანვარს **კარნავალი**, ბალეტი მორდკინის მონაწილეობით. ხუთშაბათს, 27 იანვარს, **ბოჰემა**.

დასაწყისი 8 საათზე (ნ. 1—1)

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან ახლად მოაწყო

წისქვილი

(Вальцовая мельница)

რომელიც ჯერჯერობით დღეში ფქვავს 1000 ფუთ ხორბალს, მიღებულია ზომები მის გასაფართოვებლად და მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე. დაწესებულებანი, რომლებიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილით, ყოველივე ცნობებისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.

(ნ. 3—1) ბათომის ქალაქის გამგეობა.

სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა
„მწყემსი“-ს გამგეობა

აცხადებს, რომ, 1921 წლის თებერვლის 10-ს (ახალი სტილით) ქალ. ტფილისში შესდგება წევრთა (რწმუნებულების) საზოგადო კრება. (215—3—3)

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს
პირველად ამ სეზონში.

პრემიერა!

განახლებისა და შესწორების შემდეგ

სამშობლო
ლიტანიით

ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა მონაწილეობს მთელი დასი 100 თანამშრომელი, ხორო.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ბილეთები კასაში. (ნ. 5—4)

პარტიული კონფერენციის ნამუშევარი

სოციალდემოკრატიული პარტიის კონფერენცია, რომლის მუშაობაც ორი დღე გაგრძელდა, მოწვეული იყო პარტიული მთლიანობის განმტკიცების მიზნით. პარტიის მთლიანობა, ეს არის ქვა-კუთხედი, რომელზედაც აშენებულია ჩვენი პარტიის ძლიერება და ის გავლენა, რომელიც მან მოიპოვა ჩვენი ხალხის ფართო წრეებში, ეს არის აუცილებელი პირობა იმ განუსაზღვრელი ნდობისა, რომელითაც უყურებს მას მთელი ჩვენი ხალხი და რომელმაც მოუპოვა მას მთელი ჩვენი ხალხის მეთაურობა და მისი ხელმძღვანელობა.

ერთი აზრი შეურყევლად არის ფესვგადგმული ჩვენს ამხანაგებს შორის და ამ აზრს უნებურად იზიარებენ ჩვენი პარტიის მოწინააღმდეგენიც: ერთად-ერთი პარტია, რომელსაც დღევანდელს პირობებში შეუძლიან ხელმძღვანელობა გაუწიოს დამოუკიდებელს საქართველოს, არის სოციალდემოკრატია. ამ პარტიის შერყევა ნიშნავს მთელი რესპუბლიკის შერყევას, ეს ნიშნავს დალუპვას ყველა იმისა, რაც ჩვენმა ხალხმა რევოლუციის საშუალებით მოიპოვა, ეს ნიშნავს ჩვენი ეროვნული არსებობის საფრთხეში ჩავარდნას. მაშასადამე ჩვენი პარტიის დასუსტება ეს არის დასუსტება ჩვენი რესპუბლიკისა და მთელი ჩვენი დემოკრატიული საქმიანობისა. ამ შეგნებით აიხსნება ის ძრწოლა, რომლითაც თავს დასტრიალებს ჩვენს პარტიას ყოველი შეგნებული მოქალაქე და მით უმეტეს ყოველი პარტიული ამხანაგი. ამითვე აიხსნება ის ალიაქოთი, რომელიც ატეხა ყველა ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, როგორც კი ჩვენს პარტიას შორიდან გამოუჩნდა განხეთქილების და გამთიშველობის შავი აჩრდილი.

პარტიულმა კონფერენციამ ბრწყინვალედ შეასრულა თავისი მიზანი—პარტიული მთლიანობის განმტკიცება. მთელი კამათი, რომელიც სწარმოებდა კონფერენციაზე მთავარი საკითხის გარშემო, არც ერთხელ არ გასცილებია პრინციპიალობის ფარგალზე, არ დაწვრილმანებულა და არ დაქვეითებულა პირადი ანგარიშების გასწორებამდის. მთავარი საკითხის განხილვის დროს დავიწყებული იყო ყოველი პირადი უსიამოვნობა. აქ ერთმანეთს ორი პრინციპი შეეჯახა: პრინციპი პარტიული დისციპლინისა და პრინციპი პიროვნული პოლიტიკისა, პიროვნული გამოვლენისა. „ახალი სხივის“ ჯგუფი, რომელიც პიროვნული პოლიტიკის მოსარჩლედ გამოვიდა, თავის პოზიციას ასაბუთებდა პიროვნული „თავისუფლების“ სახელით. მაგრამ „ახალი სხივის“ ორატორის გ. ხოჭოლავას ნალაპარაკევიდან აშკარად გამოჩნდა, რომ ის „თავისუფლება“, რომელსაც ეს ჯგუფი მოითხოვს, არის თავისუფლება პარტიის დანგრევისა, მისი შიგნიდან აფეთქებისა.

დიდი დაფიქრება არ არის საჭირო, რომ გამოვააშკარავოთ ულოღიკობა იმ ხაზისა, რომელსაც „ახალი სხივი“ ადგია. თავისუფლება, რომელზედაც ასე ხმა-მაღლა ყვირიან ამ ორგანოს სულის ჩამდგმელნი, განუსაზღვრელად მეფობს იქ, სადაც დგას ამა თუ იმ პარტიაში შესვლა არ-შესვლის საკითხი. არავინ ძალას არ ატანს ამა თუ იმ პიროვნებას, გინდა თუ არა ჩაეწერე ამ პარტიაში. იგი სრულიად თავისუფალია ამ საკითხში. მაგრამ ყოველმა პირმა უნდა იცოდეს, რომ თუ კი იგი პარტიაში შედის, იგი ვალდებულებასაც იღებს თავის თავზე ამ პარტიის წინაშე. თუ იგი თავისუფლად ჩაეწერება პარტიაში, მას თავისუფლად და ძალდაუტანებლად უკისრია ეს ვალდებულება და ამიტომ იგი მოვალეა ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულოს. ერთი უძირითადესი ამ ვალდებულებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ პარტიაში შესული პირი უნდა დაემორჩილოს პარტიულ დისციპლინას, უნდა დაემორჩილოს **პარტიის უმრავლესობის** გადაწყვეტილებას. ამ პირობით არის შესული იგი პარტიაში და ამ პირობის აუსრულებლობა ნიშნავს თავის თავის პარტიის გარეშე დაყენებას. ყველა ეს ისეთი საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ გასაოცარია, როგორ შეიძლება ამ საკითხზე დავა ასტეხოს ვინმემ. „ახალი სხივის“ „თავისუფლება“ არსებითად უდრის დარღვევას იმ პირობისას, რომლითაც ესა თუ ის პირი პარტიაში შევიდა. ამნაირი „თავისუფლების“ მოტრფიალეს, ერთი მხრით, პარტიაში ყოფნა უნდა მეორე მხრით, მას არ უნდა დაემორჩილოს იმ პირობებს, რომლითაც პარტიაში შევიდა. ვიმეორებ, ეს არის „თავისუფლება“ პარტიის ნგრევისა, „თავისუფლება“ პარტიის განადგურებისა.

ამ თავისებურს „თავისუფლებას“ კონფერენციამ დაუპირდაპირა ჭეშმარიტი თავისუფლება კრიტიკისა, მსჯელობისა, აზრის გამოთქმისა პარტიის ფარგლებში. „სოც.-დემოკრატია მუდამ მომხრე იყო და არის **შიგნით**—პარტიულ ორგანიზაციებში — **აზრთა თავისუფალი შეჯახებისა** და პარტიის პროგრამის საზღვრებში ფართო დისკუსიისა“. როდესაც ამ აზრთა თავისუფალი შეჯახების შემდეგ შემუშავდება და ჩამოყალიბდება პარტიის უმრავლესობის აზრი და ნებისყოფა, ყველა წევრები მოვალენი არიან მას დაემორჩილონ და „მოპირდაპირე ძალთა წინააღმდეგ დარაზმულნი გამოვიდენ“, როგორც მთლიანი კოლექტივი, ერთი აზრით და გრძნობით გამსჭვალული. ვინც ამ ფარგლებში ვერ ეტევა, ვინც ვიწროდ გრძნობს თავს, ის ამით აღიარებს, რომ ველარ იქნება პარტიის წევრი. თუ რომელიმე დადგენილება პარტიისა სრულიად მიუღებელია ამა თუ იმ წევრისათვის, თუ ეს დადგენილება ეწინააღმდეგება მთელს მის მსოფლმხედველობას, მთელს მის გონებრივს და ზნეობრივს არსებას, ლოღიკა და პატიოსნება მოითხოვს მისგან, რომ იგი წავიდეს პარტიიდან და გარედან ებრძოლოს მას. მაგრამ თუ პარტიის საქმიანობაში ისეთი არაფერია, რასაც კერძო მისი წევრი თავისი სინიდისის წინაშე მას ვერ შეურიგდება, თუ იგი შესაძლებლად სთვლის პარტიაში დარჩენას მიუხედავად იმისა, რომ ესა თუ ის მისი აზრი არ მიიღო უმრავლესობამ, იგი მოვალეა დაემორჩილოს დისციპლინას და მოიქცეს ისე, როგორც ეს უმრავლესობამ მიიჩნია საჭიროდ. თორემ პიროვნული განუსაზღვრელ „თავისუფლების“ სახელით მთელი პარტიის თავისუფლების და თვით არსებობის მოსპობა—ეს არის ყოველ ლოღიკას და ყოველ სამართლიანობას მოკლებული მოთხოვნა.

კონფერენცია ერთხმად დაადგა ამ შეხედულებას და ამ თვალსაზრისით დაგმო ის საქმიანობაც, რომელსაც ეწეოდა გაზ. „ახალი სხივი“: „აღნიშნული მიმდინარეობა, ერთხმად აღიარა კონფერენციამ, **ანტი-პარტიულია**, ემსახურება პარტიის მთლიანობის და შე-

სი შინაგანი სიმტკიცის დარღვევას და პარტიაში იდეური არევ-დარევის შექმნას"; ასეთი მოღვაწეობა უადვილებს ჩვენი პარტიის მტრებს ს.-დ. ის დასუსტებას და მუშათა კლასის ჰეგემონიის შემუსვრას რესპუბლიკაში".

მთელი კონფერენცია, მაშასადამე მთელი პარტია ერთი აზრისა გამოდგა ამ საკითხში და აღსანიშნავია ის, რომ „ახალი სხივის" ჯგუფი, პირიქით, სრულიად დაქსაქსული და აბნეული წარსდგა კონფერენციის წინაშე მუხ. ხოჭოლავას მიერ გამოქვეყნებულს „მანიფესტს" არსებითად მხარი არ დაუჭირა არც ერთმა იმ ამხანაგთაგანმა, რომლებიც მან დაასახელა, როგორც „ახალი სხივის" ბელადები. და კონფერენციის მუშაობამ პარტიას ის ნაყოფი მოუტანა, რომ ის სატკივარი, რომელიც მას მოევლინა „ახალი სხივის" სახით, გაქრა, ვითარცა ორთქლი და პარტია დაუბრუნდა თავის მძიმე და პასუხსაგებ ისტორიულ საქმიანობის გამომრთელებული, განმტკიცებული და გამაგრებული.

თეორია და პრაქტიკა

I

გასაგები წინააღმდეგობა.

თანამედროვე ხანამ ერთგვარი რევოლუცია მოახდინა მთელ ჩვენ მსოფლმხედველობაში. ბევრს ჩვენგანს ძალიან აფიქრებს ეს გარემოება, ბევრს ეჭვი ებადება ძველ აზროვნულ დებულებებში. ბევრი ამბობს — რად მიდის ახლანდელი ცხოვრება ისე, როგორც თეორეტიულათ გვქონდა გათვალისწინებულით.

მართალია არავის არ ქონდა გათვალისწინებული ყველაფერი ის, რაც ხდება ჩვენ თვალწინ. ყველას საანბანო ჭეშმარიტებათ მიგვაჩნდა, მაგალითათ ის, რომ თუ პოლიტიკური ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელში გადავიდოდა, მაშინ ეკონომიური მდგომარეობაც მის სასარგებლოთ უნდა შეცვლილიყო. ეს კი არ მოხდა. პირიქით, მოხდა წინააღმდეგი. პოლიტიკურათ ჩვენში მუშათა პარტია ბატონობს, ეკონომიურათ მუშათა კლასი ყველაზე უფრო დაქვეითებულია.

ეს საშინელი წინააღმდეგობა ქმნის დიდ არევ-დარევას. ალბათ ან ის არ ყოფილა მართალი, რასაც მარქსიზმი გვასწავლიდა, ან ქართველი პარტია საქართველოში თავისი საქმიანობით არ მისდევს მარქსისტულ მოძღვრებასო,— გაიძახიან იქით აქედან, ისე გაიძახიან მარჯვენა და „მარცხენა" კუთხიდან. ჩვენ მაგალითში მარქსიზმის გაკოტრებას ხედავენ უკიდურესი მემარჯვენეები. ამავე მაგალითით სოციალ-დემოკრატიის—მენშევიზმის გაკოტრებას „ასაბუთებენ" უკიდურესი მემარცხენეები.

ეს ორი რჯულის ნათესავები არ არიან ერთმანეთისაგან ძალიან შორს. ლიუდოვიკ მე 14 იტყოდა ხოლმე—სახელმწიფო მე ვარო... იმათ არ იყოს, მარქსიზმი ჩვენ ვართ, მარქსისტული მსოფლმხედველობა მენშევიზმია. თუ ის გაკოტრდა, ესეც გაკოტრებული იქნება, თუ ერთი არ გაამართლა სინამდვილემ, მეორეც გამტყუნებული იქნება.

თეორიისთვის, ამიტომ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ პრაქტიკას, რომელიც აქაური მმართველი პარტიის ხელმძღვანელობით ტარდება აქაურ ვიწრო ფარგლებში.

სანამ ძალა-უფლებას ხელში ავიღებდით, ჩვენ ყოველთვის ვარწმუნებდით მშრომელ ხალხს, რომ ეკონომიური ცხოვრების განუვითარებლობით, საჭიროა ბურჟუაზიის პოლიტიკურათ დამორჩილება. ჩვენი მაშინდელი მსმენელები ხედავენ სულ სხვას. ხედავენ, რომ ბურჟუაზიას აღარ აქვს პოლიტიკაში არავითარი გავლენა, მაგრამ ის მაინც მეფობს ეკონომიურათ.

ძალიან ძნელია მისვლა ფართო წრეებთან გამოსვლა რომელიმე უპარტიო კრებაზე. ყველგან გამოუცნობელ კითხვითი ნიშნათ გიყენებენ წინ ხალხის აუტანელ გაჭირვებას: ჩვენ წელში ვეღარ ვიმართებით მუშაობით, შიმშილ-სიცივით ვიხოცებით, სხვები ამავე დროს თით-გაუძრევლათ ფუფუნებაში და განცხრომაში ატარებენ დროსო.

ამ კითხვითი ნიშანზე ადვილია ერთი პასუხი, რომელსაც ადვილათ შეითვისებს გაუწვრთნელი გონება. შეუგნებელი ან ნაკლებათ შეგნებული იტყვის, მე უფრო უკეთ, უფრო იაფათ ვცხოვრობდიო ძველ პოლიტიკურ წეს-წყობილებაში, ალბათ ის უფრო ყოფილა ჩემი ინტერესებისა შესაფერისიო.

ამისთანა სიბნელეში სხივის შეტანათ აღარ კმარა უბრალო სააგიტაციო მასალა. აქ საჭიროა მთელი ჩვენი თეორიის გახსენებაც და მთელი საერთაშორისო, არა მარტო საქართველოს სინამდვილის შესწავლაც ამ სინამდვილის აწევს ის მემკვიდრეობა, რომელიც დაუტოვა კაცობრიობას მსოფლიო ომმა. ეს მემკვიდრეობა გამოიხატა ორნაირ უბედურებაში. ერთი მხრივ განადგურდა აუწონელი დაგროვილი სიმდიდრე, მოიშალა ამ სიმდიდრის მთავარი ძარღვი—საწარმოო ძალები. მეორე მხრივ პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში შესარჩენათ ბურჟუაზია გამოდგა უვარგისი იმ დროს, როცა მუშათა კლასი ჯერ კიდევ საკმაოთ მომზადებული არ იყო იმავე ძალა-უფლების ხელში ასაღებათ.

ევროპის ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იქნებოდა, რომ სწორეთ ასეთ პირობებში გამეფებულიყო მუშათა კლასის პარტია. უნგრეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ, როგორც ვიცით, გადაისროლა ამღვრეულ წყალში პროვოკაციული ანკესი, ნებით უარჰყო თავისი მართვა-გამგეობა და გადასცა ეს მოწინააღმდეგე კლასს. მაშინ ფიქრობდენ, სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვებაა ეს პატარა მაგალითიო. დაკვირვებული ადამიანისთვის კი ცხადი იყო, რომ ეს იქნებოდა დიდი სოციალური რეაქციის დასაწყისი. ყველა ვხედავთ, რა ხდება უნგრეთში ბოლშევიკების იქ ხანმოკლე ბატონობის შემდეგ.

უეჭველად ასე მოიქცეოდა გერმანიის რეაქციონური ბურჟუაზიაც, რომ იქ წინ არ დახვედროდა დიდი ხნის აღზრდილი, ორგანიზაციული და იდეურად შეკავშირებული მუშათა კლასი. ამიტომ გახდა იქ შეუძლებელი ბოლშევიკების გამარჯვება და ამიტომ არ გაკეთდა საბოლოოდ ბურჟუაზიის საქმი.

საფრანგეთში პარიზის კომუნის წინა დღეებში (1871 წ.) რეაქციონური მთავრობის წარმომადგენელი ტიერი მიზეზს ეძებდა პარიზის მუშების ასამხედრებლად, უნდოდა როგორმე უდროოდ გამოეყვანა ბრძოლის ველზე,—სისხლში ჩავახრჩობ მაშინ და სამუდამოდ მოვუღებ ბოლოს სოციალისტურ მოძრაობასო.

მისი ჭკუით დაიარებიან ევროპაში დღესაც მისი სულიერი შვილები და შვილის შვილები. დღევანდელი საფრანგეთის მთავრობაც ოცნებობს, რომ იქაურმა მუშებმა თავიანთ ზურგზე გამოსცადონ ბოლშევიზმი, და მერე უარესათ დაიჩოქონ ისევ ბურჟუაზიის წინ.

არ გამართლდება მოწინავე ევროპაში ეს ბურჟუაზიული ანგარიში. მუშათა კლასი იქ არ ჩქარობს [illegible] და არ ეტანება ჯერ ძალა-უფლებას. ის თავისი შეგნებული საქმიანობით გავლენას ახდენს ზედა წრეებზე, ცდილობს გამოიყენოს ბურჟუაზია და ბურჟუაზიის მემკვიდრეობა საწარმოო ძალების გამთელება-განვითარებაში. იცის, რომ ამ გზით უფრო მოამზადებს თავის მომავალ გაბატონების საძირკველს. არ დავიწყებია ამ მუშათა კლასს ის მარქსისტული დებულება, რომ ეკონომიური პირობების საძირკველზე უნდა შეიფერებოდეს პოლიტიკური მართვა-გამგეობის ზედნაშენი.

არ დავიწყებია ეს დებულება არც საქართველოს მუშათა კლასს, თუმცა აქ მისი პოლიტიკური ძალა-უფლებისათვის მოუმზადებელი იყო შესაფერისათ განვითარებული საწარმოო ძალების საძირკველი. მისი ნაადრევი გამეფება აიხსნება იმით, რომ აქ არ იყო მეორე კლასი, არ იყო ბურჟუაზია. ვერც ერთი სხვა წრე ვერ იკისრებდა მართვა-გამგეობის ხელში აღებას. რომ გამოჩენილიყო ამისთანა წრე, ეს ბედნიერება იქნებოდა მუშათა პარტიისთვის, ის მოემზადებოდა მაშინ უკეთესი დროისთვის.

ისტორიამ აღებინა ხელში ჩვენს პარტიას ის, რაც უფრო ადვილი გასაკეთებელი იქნებოდა სხვა პირობებში. ამ ძნელ საქმეს ვერ იკისრებდა საქართველოში ვერც ერთი სხვა პარტია. რომ ეკისრა, ვერ შეასრულებდა, ჩვენი პატარა ქვეყანა ვერ შეინარჩუნებდა ვერც უბრალო ფიზიკურ არსებობას. საქართველოს არ ექნებოდა არც ის ეკონომიური საძირკველი, რომელიც აქვს დღეს, რომელზედაც შეიძლება ახალი და უკეთესი ზედნაშენის აგება.

რუსეთში მუშათა კლასის სახელით გამეფებულმა პარტიამ დაარღვია ის, რაც იყო მის გამეფებამდის. საქართველოს მუშათა კლასმა კი ამ სამი წლის ქარცეცხლში დაუნგრევლათ შეინახა ის, რაც გააჩნდათ მანამდის. სხვის ხელში, არც ასე შეინახებოდა. გაჭირვებულია ჩვენი მშრომელი ხალხი, მაგრამ უფრო და უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში იქნებოდა, ვეღარც იარსებებდა, რომ პოლიტიკური მართვა-გამგეობის სადავე ხელში არ კავებოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას.

ს. დევდარიანი.

პრესა

„სახალხო საქმე" არ ცხრება. ის მეტად კმაყოფილია მასწავლებელთა ყრილობით და მისი რეზოლიუციებით ლამობს თავის ცარიელი პოლიტიკური ხურჯინის გავსებას. მას დიდ გამარჯვებათ და პოლიტიკურ სიბრძნეთ მიაჩნია ყრილობის ფედერალისტური ნაწილის მიერ გაფიცვის რეზოლიუციის მიღება და მეორე დღეს მისი მოხსნა, რასაც ის ასე ასაბუთებს:

> „თუ კი მასწავლებელთა გაფიცვა იოტის ოდენადაც არის ზედმეტ გართულებას შეუქმნის ჩვენს სამშობლოს, მასწავლებლობა არ გადადგამს ამ ნაბიჯს და მეორე დღეს მასწავლებლობამ მოხსნა გაფიცვის რეზოლიუცია", („სახ. საქ." № 1032).

რას ნიშნავს ეს „თუ კი"? თუ მასწავლებელთა გაფიცვა „ზედმეტ გართულებას შეუქმნის ჩვენს სამშობლოს"—რათ მიაღებიეთ თქვენს მომხრეებს ასეთი რეზოლიუცია, და თუ „არ შეუქმნის"—რათ მოახსნევინეთ მეორე დღეს? რას ნიშნავს ეს წაჯექ-უაჯექობის პოლიტიკა და გაფიცვით თამაში?

გზა გზა „სახალხო" არ ინდობს განათლების სამინისტროს და მასთან ანგარიშების გასასწორებლათ ათას რამეებს ჩმახავს. ჩვენ არ გამოუდგებით დაწვრილებით ამის შესახებ ლაპარაკს, ვიტყვით მხოლოთ, რომ სამინისტროს, სხვა რომ არაფერი გაეკეთებია მისი არსებობის მოკლე ხანში, ისიც უდიდეს ღვაწლათ ჩაითვლება, რომ მან შეძლო ასეთ პირობებში ორი უდიდესი საქმის გაკეთება. ესაა—სკოლის დემოკრატიზაცია და სკოლის გაეროვნება. და თუ „სახალხო" ამას არ ხედავს—ეს იმიტომ, რომ ის ხელმძღვანელობს პარტიული ანგარიშებით და ვინც ასე იქცევა, მას მუდამ თეთრი შავათ ეჩვენება. ასეთ შემთხვევაში კამათი, მეტი რომ არა ვთქვათ ზედმეტია.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის კონფერენცია

19 იანვრის სხდომა

ნოე ჟორდანიას მოხსენების შემდეგ პარტიული დისციპლინის შესახებ (მოხსენება ხვალინდელ ნომერში დავბეჭდავთ) ლაპარაკობს **მუხრან ხოჭოლავა.** ის ამბობს, რომ არსებობს პრინციპიალური განსხვავება სხივლების ჯგუფისა და სხვა სოციალ დემოკრატიულ პარტიის წევრთა შორის, მაგრამ თუ დღემდე არ გვეფიქრნია პარტიის პროგრამის ზოგიერთი მუხლების შეცვლაზე, ეს იმიტომ, რომ ჩვენ სოც. დემოკრატიულ პლატფორმაზე ვდგევართ. ჩვენ გამოვედით პირველად პრაქტიკული ნაბიჯებით. და მართვა გამგეობის საქმის გაცნობამ, მთავრობის მუშაობამ მოგვცა დიდძალი მასალები, რომლებმაც ჩვენ მიგვიყვანა ამ განხეთქილებამდე.

შეიძლება ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონოდა ფსიხოლოგიურ მომენტსაც—პირად შეურაცხყოფას, მაგრამ უკანასკნელმა მხოლოდ დააჩქარა ჩვენი მოქმედების პროცესი. ორატორი მოითხოვს მიეცეს სხივლებს ორგანიზაციებში გამოსვლის და მოხსენებების გაკეთების საშვალება. ამ მოხსენებებს უნდა დაესწრონ ცენტრალური კომიტეტის წევრნიც და ამ შემთხვევაში, ორატორის აზრით, ბოლო მოეღება იმ გაუგებრობას, რომელსაც ახლა აქვს ადგილი. დამოუკიდებლობის შემდეგ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში აიღო სოც. დემ. პარტიამ და მოსალოდნელი იყო, რომ განხორციელდებოდა დემოკრატიული წყობილება, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. პარტიამ დაჰკარგა თავისი გზა. მუშათა საკითხი ისეა დასმული, როგორც ბოლშევიკურ რუსეთში. იქ პროფესიონალური მოძრაობა მთავრობას ჰყავს დამორჩილებული და ისევეა აქაც. არ ხორციელდება დამფუძნებელი კრების კანონმდებლობა—ის არ ტარდება ცხოვრებაში. მთავრობა ანგარიშს არ უწევს სახელმწიფო კონტროლს, კრების და სიტყვის თავისუფლებანი, ბინის და პირადობის ხელშეუხებლობა მხოლოდ ზოგიერთების სარგებლობაა. მოუწყობელია განაპირა კუთხეები. სამდგილ-მამულო საკითხი ერთ წერტილზეა გაყინული და გლეხები უარეს მდგომარეობაში არიან, ვინემ წინათ,—რევოლიუციამდე (საერთო სიცილი) მთავრობამ ვერ გასწია ხელმძღვანელობა წარმოების ვერც ერთ დარგს, იფლანგება სახელმწიფო სიმდიდრე ერთი სიტყვით: ანარქია, უპასუხისმგებლობა პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში, აი სურათი ჩვენი მდგომარეობისა. (ხმაურობა. ხმები: შენგელაიასაგან გადმოულია) შემდეგ ის ეხება პარტიისა და მთავრობის ერთმანეთში არევას და ამბობს, რომ ასეთმა მდგომარეობამ, რომ მთავრობის წევრები ცეკას წევრებიც არიან და კომისრები და ქალაქის თავები კომიტეტების წევრები, შექმნა უკონტროლობა. შემდეგ ის აცხადებს, რომ ვინაიდან საშვალება არ გვქონდა ჩვენი აზრი გაგვეშუქებია პრესის საშვალებით ან დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან, იძულებული შევიქენით ჩვენი გაზეთი გამოგვეცა. (ხმები: ბურჟუაზიისაგან მიიღეთ ფულები) ფულს ჩვენ მივიღებთ ყველასაგან, მაგრამ ისინი ვერ წამოგვიყენებენ პირობას, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. „ახალ სხივს" ჰყავს მკითხველები, ის მასის გაზეთია, უწევენ მას იდეურ და მატერიალურ დახმარებას და ჩვენ მას არ დავხურავთო, ამბობს ორატორი. ფრაქციაში არსებობს ზოგიერთი საკითხები, რომელთა შესახებ რეზოლიუციის გამოქვეყნების საშვალება უნდა მიეცეს უმცირესობას. ეს არის ჩვენი მოთხოვნილების მინიმუმი და უნდა დააკმაყოფილოთ ის თქვენცა.

ალ. დგებუაძე უადგილოდ და დამღუპველად მიაჩნია ოპოზიცია არსებობდეს პარტიაში მაშინ, როდესაც ირგვლივ მტრებით ვართ შემორტყმული. შემდეგ ის ამბობს, რომ როდესაც მ. ხოჭოლავა მოითხოვს პროგრამა მინიმუმის განხორციელებას, ეს მოითხოვს ჯარის დაშლას, რომელიც გამოიწვევდა ჩვენი სახელმწიფოს მოსპობას. რაც შეეხება პროფ. კავშირების მთავრობის „ფილიალურ განყოფილებებათ გადაქცევას", ეს ორატორის აზრით მუშათა კლასის შეურაცხყოფაა, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ მთავრობა ისევ პარტიაა და არა ის 5 კაცი, რომელსაც ხოჭოლავა გულისხმობს. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ მთავრობას, ამბობს ის, ვინაიდან ის ხალხის ნებისა და სურვილების აღმასრულებელია. ალ. დგებუაძე არ ეთანხმება ხოჭოლავას, რომ ცენ. კომიტეტის წევრები დადიოდნენ სხივლებთან და მოხსენებებს აკეთებდენ, ვინაიდან ეს დაუშვებელია მაშინ, როცა ირგვლივ მტერი გვყავს შემოხვეული და ბევრია სხვა სამუშაოებიც (ტაში).

ნ. ხომერიკი. ამხანაგებო! სადაო არ არის, პარტიაში დასაშვებია აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ საქმე ის არის თუ სად ან როდის უნდა შეწყდეს ეს აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენს პარტიაში აზრის სრული თავისუფლებაა; არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმესთვის არ მიგვეცათ საშვალება თავისი აზრი გამოეთქვა. აქ დღეს საკამათო არაა ეს, არამედ მეორე საკითხი: როცა პარტიას ერთი დადგენილება აქვს, ერთი გეზი აქვს აღებული, შესაძლებელია თუ არა ამის წინააღმდეგ გამოსვლა და ისიც პარტიის გარეშე. მე ამხანაგ მ. ხოჭოლავას განცხადებაში დავინახე მოთხოვნილება, რომ პარტიის წევრს უფლება ქონდეს საჯაროთ პარტიის წინააღმდეგ გამოვიდეს. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ პარტია ვერ იარსებებს თუ ასეთ რამეს დაუშვებს. არ შეიძლება პარტიული ამხანაგები არეულ-დარეულათ და ერთი მეორის წინააღმდეგ გამოვიდენ, როგორც არ შეიძლება ბრძოლის ველზე ფრონტის დამცველთა შორის დაიწყოს ომი.

ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. ეხლა გაზეთის შესახებ. თუ თქვენმა გაზეთმა მართლა თანაგრძნობა მოიპოვა მასსაში, რატომ არ გინდათ, რომ ის იყოს რომელიმე პარტიული ორგანიზაციის გაზეთი? მე გიყენებთ თქვენ კითხვას: რატომ არ გინდათ, რომ მოთავსდეთ პარტიის ჩარჩოში, თუ არ გეშინიათ რომ მასსისაგან გარიყული დარჩებით?

თუ კარგი აზრები გაქვთ, თქვენც ის უკეთესი არ იქნება ეს პარტიული გზით გამოსთქვათ? პარტია ვერ დაუშვებს პირადულ ან ჯგუფურ ორგანოების არსებობას. ის ძალიანია თავის გამოსვლებში და მხოლოდ თქვენ გინდათ ეს დაარღვიოთ. როცა პარტიაში საჭიროა სასტიკი დისციპლინა, თქვენ გათიშვა შემოგაქვთ აქ და ამას პარტია ვერას გზით ვერ დაუშვებს.

თქვენ „ერთობას" აწერთ, თითქო ის მალავდა ჩვენს შორის არსებულ პრინციპიალურ განსხვავებებს. მარა ეს მარტო „ერთობის" აზრი არ არის. თქვენ თითონ გითქვამთ საჯაროთ და დაგიწერიათ გაზეთში, რომ ჩვენს შორის არ არსებობს პრინციპიალური განსხვავება. და თქვენ მოგეხსენებათ, რომ რაც დაიწერება, ის ადვილათ არ წაიშლება. ახლა მართალია, უკანა რიცხვით თქვენ უკვე ეძებთ განსხვავების პრინციპიალურ საფუძველს და „ახ. სხივის" ორი უკანასკნელი ნომერი ასეთი ძიების მაჩვენებელია. ის, რაც თქვით თქვენ იქ და გაიმეორეთ დღეს აქ, მართლაც არ ჰგავს სოც. დემოკრატიულ აზროვნებას. ეს, თუ გნებავთ, ყველაფერია, მარა არა სოციალ დემოკრატიული. ავიღოთ თქვენი დებულება ამხ. ხოჭოლავა! თქვენ ამბობთ, ჩვენ გვქონდა პროგრამა, მარა როცა შევუდექით მუშაობას, როცა დაგროვდა ფაქტები, საჭირო გახდა ახალი პროგრამის წამოყენებაო (მ. ხოჭოლავა: ეს მე არ მითქვამს) უკაცრავათ, ეს თქვენ დასწერეთ და დღეს აქ გაიმეორეთ. რა გამოდის აქედან? ის, რომ პროგრამა შეიძლება გვქონდეს, სანამ მის განხორციელებას შევუდგებოდეთ, მარა რაკი დაიწყება მისი განხორციელება, იმ წამიდანვე მისი დავიწყება და ახალის შედგენა.

ჩვენ კი გვგონია, რომ ძალა უფლების დაპყრობით სოც.-დემოკრატიისათვის არ შექმნილა საჭიროება ახალი პროგრამის შექმნის, მან ეს ძალა-უფლება დღეს უნდა გამოიყენოს პროგრამა მინიმუმის განსახორციელებლათ და სოციალიზმისათვის ნიადაგის მოსამზადებლათ. პარტიაში ყოფნა და ისეთი აზრების გამოთქმა საჯაროთ, რომელიც ჩვენ ახლა გვესმის, ყოვლად შეუწყნარებელია. შეიძლება, ამა თუ იმ ამხანაგის ან ამხანაგთა ჯგუფისათვის, რასაკვირველია, მათი შეხედულებით, მართლა შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ მათ არ შეუძლიათ პარტიის შეხედულებათა და მოქმედებათა გაზიარება. მე ვამბობ, შეიძლება ეს. მაშინ რა უნდა ქნან ასეთმა პირებმა? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, უბრალო რიგიანობა მოითხოვს, რომ ისინი პარტიიდან გავიდენ და მერე დაუწყონ ბრძოლა. მაგრამ პარტიაში დარჩენა და მის წინააღმდეგ საჯაროთ ბრძოლა, ციხის შიგნიდან გატეხა, სრულიად დაუშვებელია.

თქვენ ფაქტიურათ უკვე შექმენით პარტია პარტიაში. დაირაზმეთ ცალკე, თავის გამოსვლებში, თავის მოქმედებაში და აზროვნებაში უპირდაპირდებით პარტიას. ყველაფერს აქვს თავისი ლოღიკა და ასეთი საქციელის ლოღიკა ანტიპარტიული მუშაობა და განხეთქილების გაღრმავებაა. აი, მაგალითად, თქვენ წინეთ შეუძლებლათ მიგაჩნდათ შეთავსება მარტო მთავრობის და ცენტრალური კომიტეტის წევრობის (ხოჭოლავა: მე უფრო შორს მივდიოდი), ეს არ არის მართალი, კონფერენციის ზოგიერთი წევრები ზაფხულის ყრილობასაც დაესწრენ და ისინი დაამოწმებენ, რომ ეს ასეა. მე ვამბობდი მაშინ სწორეთ ამ დარბაზში, რომ თუ თქვენ შეუძლებლათ მიგაჩნიათ მთავრობისა და ცეკას წევრობის შეთავსებას, მაშინ ლოღიკურათ უნდა იმსჯელოთ და უნდა თქვათ, რომ არ შეიძლება პარტიულ კომიტეტში და კოლექტივში იყოს დამფუძნებელი კრების წევრი, ქალაქის თავი, ხმოსანი, ერობის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები, თემის თავმჯდომარე და სხ. და აი, დღეს თქვენ ეს დაადასტურეთ. გამოდის, რომ პარტიული ორგანიზაციებიდან უნდა განიდევნონ საუკეთესო ამხანაგები და მით ეს ორგანიზაციები დაუძლურდენ. ვერ გაგვიგია უდიდესი ნდობით აღჭურვილი საუკეთესო ამხანაგები რატომ უნდა დარჩენ ხელმძღვანელ ორგანიზაციათა გარეშე.

აქ ჩვენ მიერ წამოყენებულია დებულება, რომ საპასუხისმგებლო პოსტზე გაგზავნილ ამხანაგების წინააღმდეგ საჯაროთ გამოსვლა არ შეიძლება. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ამ პირების კრიტიკა, არ შეიძლება მათ პასუხი მოეთხოვოს ნებსითი თუ უნებლიეთი შეცდომებზე. არა, ყველაფერი ეს შეიძლება, მარა ეს უნდა მოხდეს პარტიაში, მის წრეში, აქ უნდა გასწორდეს ის პირი თუ გასასწორებელია, ხოლო აქედან უნდა დაისაჯოს და გაიგდოს პარტიიდან თუ ამის ღირსია.

კიდევ ვიმეორებ, გამოსვლა საჯაროდ პარტიის წინააღმდეგ ან წინააღმდეგ მისი ნდობით აღჭურვილი პირების და ამავე დროს პარტიაში დარჩენა—შეუძლებელია. დამფ. კრების ტრიბუნიდან, როცა კ. ნინიძის ინციდენტი ირჩეოდა, მუხრანმა სპ. კედიას ამაყად გადასძახა: შენ იცი, სპირიდონ, რომ მე ჩემი განსაკუთრებული შეხედულება მაქვს და ყველაფერში ფრაქციას არ ვეთანხმები და ხელსაც არ უწევო. უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ ასეთი გამოსვლები არ არის გამოსვლები ჩვენი პარტიული ამხანაგის. ჩვენ პარტიას ასეთი ჩვეულება არ სჩვევია. ეს ზნე არ არის ჩვენი პარტიული ზნე (ტაში) და ასეთი ჩვეულება პარტიაში ვერასოდეს ფეხს ვერ მოიკიდებს. ჩვენ ვიცით ერთმანეთის კრიტიკა, ერთმანეთს შორის შეტაკება, ხშირად ძლიერ ცხარეც. ამხ. ხოჭოლავას ხშირათ უყვარს თქმა: პირადი მეგობრები ხართ, ერთმანეთი გიყვართ და, ამიტომ თქვენი წრე ერთგვარი ოჯახური წრეაო. მე ვიტყვი: ხოჭოლავა არც ამ წრეს იცნობს. ჩვენ ხშირათ, ძალიან ხშირათ ვეკამათებით ერთმანეთს მთავრობაში, ცეკაში და სხვაგან, მარა გინახავთ თქვენ, რომ ჩვენ საჯაროთ ერთმანეთს როდისმე დავკრეოდეთ? (ხმები, არა!) და ვერც ნახავთ. ამაშია ჩვენი სიძლიერე ჩვენ საკუთარ წრეში ვათავებთ ჩვენს დავას, მტრის წინაშე კი მწყობრათ გავდივართ (ტაში).

ეხლა ორიოდე სიტყვა ფულის აღებაზე. მე მართალი გითხრათ, ძლიერ გამაკვირვა მუხრან ხოჭოლავას განცხადებამ (ბ. თევზაია: მე ძალიან გამიკვირდა!) ის ამბობს: ფული თქვენც აგიღიათ ბურჟუაზიისაგან და ჩვენც ვიღებთო. რა მსგავსებაა ამ ორ მოვლენას შორის! ერთია, როცა პარტია ფულს იღებს გარეშე ხალხისაგან პარტიის გასაძლიერებლათ, ხოლო სულ სხვაა, როცა პარტიის ერთი ნაწილი ბურჟუაზიისაგან პარტიის მთლიანობის დასარღვევათ და განხეთქილების მოსაწყობათ შეწირულებას იღებს (ტაში. ხმები: სირცხვილი!) რას ნიშნავს, როცა თქვენ „საქართველო" სესხათ 100 ფუთ ქაღალდს, ღირებულს ეხლა 3 მილიონათ, გაძლევთ? მე ვიცი რას ნიშნავს ვინც დაკვირვებია „საქართველოს" უკანასკნელ წერილებს, ის დაინახავდა, რომ იგი დიდ იმედებს ამყარებს ჩვენს ოპოზიციაზე. გაზეთი სწერდა, რომ დღემდე ვერ დავეცით სოც. დემოკრატიის ჰეგემონია და აი, ახლა გვეძლევა ამის საშუალება ს. დემოკრატიაში განხეთქილების გამოო. ამიტომ როცა მუხრან ხოჭოლავა ლაპარაკობს, რომ ჩვენ ფულის მიღებით ბურჟუაზიისთვის არავითარი პირობა არ დაგვიდვიაო, მე ამაზე მას შემდეგი უნდა მოვახსენო: ეს პირობა ბურჟუაზიისთვის არაა საჭირო, თქვენ უპიროობოთ ასრულებთ მათ სურვილს და უკეთებთ მათ საქმეს (ტაში). ხოჭოლავა გვეკითხება: რას გვეშინია ჩვენ, მე უნდა ვუთხრა მას: ჩვენ გვეშინია პარტიაში ზნეობრივი დაცემის მაგალითისა, რის მაჩვენებელი თქვენი ხართ. ჩვენ ამის გვეშინია და არა იმის, თუ რომელიმე პირი ან პირები პარტიიდან გავლენ. ორატორი კითხულობს „სხივის" ნომერს, სადაც ცენ. კომიტეტის წევრებზე ნათქვამია, თითქო ისინი პირადი სარგებლობის გულისთვის მოქმედებენ და დაასკვნის: ეს დაუშვებელი ტონია, ასეთი რამ ჯერ ჩვენ დაუძინებელ მტრებსაც არ უთქვამთ. ამიტომ თუ გინდათ პარტიაში დარჩენა, მოიშალეთ ასეთი ზნე-ჩვეულება, იბრძოლეთ პატიოსნათ, თუ არა წადით, მარა წადით პატიოსნათ (ხანგრძლივი ტაში).

გ. კანდელაკი (დელეგატი ქუთაისიდან) აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ამხანაგები არ იცნობენ პარტიულ მუშაობას და მხოლოდ ზერელეთ შეუთვისებიათ ზოგიერთი დებულებები. ორატორი მიუთითებს სხივლებს, რომ ისინი აკეთებენ მტრების საქმეს, მხოლოდ უკანასკნელნი ტაშს გიკრავენ თქვენი. პარტიული კომიტეტი უნდა იყოს ის მთავარი ორგანო, რომელიც უნდა ხელმძღვანელობდეს მთელ დემოკრატიას, რომელიც მას ნდობას უცხადებს და რომელმაც აირჩია და აქ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი. პარტია ვერ იარსებებს პარტიაში. შემდეგ ის ეკითხება ხოჭოლავას, თუ ვის სასარგებლოთ მიიღეს მათ ბურჟუაზიისაგან ფული (ხოჭოლავა: პარტიის სასარგებლოთ) ორატორი ვერ სცნობს ამ ჯგუფს იმ უფლებით [illegible] რომელთაც თავზე უნდა [illegible] დემოკრატიის სასარგებლოთ ფულის მიღება და მოითხოვს, რომ კონფერენციამ ერთხმად დაამტკიცოს გამოსვლას აზრი, რომ ასეთ გამოსვლებს ბოლო მოეღოს. ჩვენმა დემოკრატიამ უნდა იაროს იმ გზით, რა გზითაც დღემდე დადიოდა—დაასკვნის ორატორი.

ა. ებანოიძე (შორაპანი) აღნიშნავს, რომ საქართველომ თუ შეინარჩუნა თავისი დამოუკიდებლობა, ეს მხოლოდ პარტიის მთლიანობისა და ერთსულოვნობის წყალობით. წარსულმა ყრილობამ ვერ ნახა სხივლებში პრინციპიალური განსხვავება და ამიტომ მან მათ შორის ლმობიერება გამოიჩინა. ორატორი მოჰყავს მაგალითი, როცა ნოე ჟორდანია არ ეთანხმებოდა უმრავლესობას ის იყო ომისა და ზავის საკითხი, მარა ამისთვის მას ცალკე ჯგუფი არ შეუქმნია. რაც შეეხება თავისუფლებით სარგებლობის—ეს აუცილებელია, მარა თავისუფლება არ უნდა მიეცეთ იმათ ვინც თავისუფლება თავისუფლების დასანგრევათ უნდა. მას დაუშვებლათ მიაჩნია ის მოვლენა, რომ სხივლებმა ბურჟუაზიას გამოართვეს ფული პარტიის დასანგრევათ. ის იგონებს წარსულ ყრილობის აზრს და ამბობს, რომ მაშინ ლმობიერება გამოიჩინა როცა [illegible] რობდა, რომ ეს ჯგუფი თავისით ჩაიშლებოდა, მაგრამ ამავე დროს უსაყვედურებს ცენტრალურ კომიტეტს, რომ დროზე არ მიიღო ასეთი გარემოების წინააღმდეგ სათანადო ზომები. ის მოითხოვს, რომ კონფერენციამ საბოლოო [illegible], რაც დღეს პარტიაში არსებობს, აღდგენილ იქნას ძველებური მთლიანობა და დაიხუროს გაზეთი „ახალი სხივი". (ტაში).

(შემდეგი იქნება)

კონფერენციამ მიიღო 40 ხმით ერთის წინააღმდეგ ქვემოთ მოყვანილი რეზოლიუცია პარტიულ კითხვებზე, რომელიც ცენტ. კ-ის სახელით წარმოადგინა ნოე ჟორდანიამ.

ა. პარტიული დისციპლინის შესახებ: ორგანიზაციის მთლიანობა და მებრძოლი [illegible] მოქმედება სოციალ დემოკრატიის ხელში საუკეთესო იარაღია კაპიტალიზმის ამოსაგდებად და მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების უზრუნველსაყოფათ.

ამ ხაზს ინტერნაციონალთან ერთად მთელი 25 წლის განმავლობაში მუდამ მისდევდა საქართველოში მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რამაც მას მისცა ქვეყნის მეთაურობა და დააკისრა დემოკრატიის განმტკიცება და სოციალისტური სახელმწიფოს აგება.

კონფერენცია აღნიშნავს, რომ [illegible] ტრადიციის და მუშათა კლასის ინტერესების, პარტიაში [illegible] წინა მიმდინარეობამ, რომელიც ამ ხაზს [illegible] და მუშათა კოლექტიურ ნების [illegible] უპირდაპირდება [illegible] პარტიის საერთო შეხედულებას—ინდივიდუალურ აზრს და დებულებას.

კონფერენცია აღიარებს, რომ [illegible] მუდამ [illegible] იყო და არის შიგნით პარტიულ ორგანიზაციებში აზრთა თავისუფალი შეხლა და პარტიის პროგრამის ფარგლებში ფართო დისკუსია, მაგრამ მოპირდაპირე ძალთა წინააღმდეგ დარაზმული გამოსვლა [illegible] და პარტიის მთლიანობის განსამტკიცებლად. კონფერენცია მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს დაუბრუნდნენ ძველ ნაცად გზას და მტკიცედ აასრულონ შემდეგი წესები:

1. პარტიის წევრს ან ჯგუფს არ შეუძლია მოაწყოს ორგანიზაცია ორგანიზაციაში და ფრაქცია ფრაქციაში.
2. პარტიული ორგანოს გამოცემის უფლება ეძლევა მხოლოდ პარტიულ ორგანიზაციას ცენტრ. კომიტეტის ნებართვით.
3. პარტიულ ორგანოებში სადაო კითხვებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა უნდა აწარმოებდეს, სანამ მათ შესახებ არ იქნება გამოტანილი დადგენილება [illegible] კომპეტენტური [illegible]; ასეთი კითხვის შესახებ კამათი ხელახლა დაიწყება მხოლოდ მას შემდეგ, როცა რომელიმე პარტიული ორგანიზაცია დააყენებს მას პარტიულ ყრილობის დღის წესრიგში და მიიღებს მის გადასინჯვას.
4. პარტიის წევრს არ შეუძლია გამოსვლა პარტიის დადგენილებათა წინააღმდეგ საჯაროთ: პრესაში ან არაპარტიულ ხალხის წინაშე; აგრეთვე მას არ შეუძლია გამოსვლა საჯაროთ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც პარტიამ საპასუხისმგებლო პოსტზე გაგზავნა.
5. საკანონმდებლო ორგანოს და ადგილობრივი თვითმართველობის ფრაქციები ემორჩილებიან პარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილებას; ფრაქციის წევრებს არ შეუძლიათ მისცენ ხმა წინააღმდეგ პარტიისა და ფრაქციის დადგენილებისა [illegible] მიეცემათ.
6. პარტიის წევრი, რომელიც თავისი ნებით დატოვებს საკანონმდებლო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს, [illegible] ორგანოს [illegible] ითვლება პარტიიდან, [illegible] პარტიის [illegible] დადგენილებას [illegible] სახალხო [illegible]

მომადგენლობითი ორგანო და ადგილი დაუთმოს პარტიის შემდეგ კანდიდატს.

7) პარტიის ყველა წევრი, რომელიც დაარღვევს რომელიმე ზემოდ აღნიშნულ დადგენილებას, დაუყონებლივ გაირიცხება პარტიიდან არსებულ პარტიული წესდების თანახმად.

ბ. **„ახალი სხივის“ შესახებ:** კონფერენცია იღებს რა მხედველობაში, რომ გაზეთი „ახალი სხივი“ 9 და 16 იანვრის №-ში მოუწოდებს მუშებს გადაუდგეს საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიას და მის მიერ 25 წლის განმავლობაში მიღებულ და ბრძოლაში განმტკიცებულ ტაქტიკას და ოპოზიციაში ჩაუდგეს პარტიის მიერ დაყენებულ მთავრობას, და რომ ეს აზრი „ახალ სხივის“ ჯგუფის სახელით კონფერენციაზე განმტკიცდა და განავითარა მუხრან ხოჭოლავამ, კონფერენცია აღიარებს, რომ აღნიშნული მიმდინარეობა ანტი-პარტიულია, ემსახურება პარტიის მთლიანობისა და მისი შინაგანი სიმტკიცის დარღვევას და პარტიაში იდეური არევ-დარევის შეტანას.

ასეთი გალაშქრება აღნიშნული მიმდინარეობისა არაფრით არ განსხვავდება იმ კამპანიისაგან რომელსაც ს.-დ. პარტიის წინააღმდეგ აწარმოებენ მისი მოპირდაპირე პარტიები და მტრები მარცხნივ და მარჯვნივ და ეს გალაშქრება უადვილებს ამ უკანასკნელთ ს.-დ. დასუსტებას და მუშათა კლასის ჰეგემონიის რესპუბლიკაში შემუსვრას.

კონფერენცია ადგენს: „ახალი სხივი“ უკანასკნელი ორი ნომრის გამოცემით შეიქნა ანტი-პარტიული ორგანო და მათმა პირდაპირმა ხელმძღვანელებმა და სულის ჩამდგმელებმა გასწყვიტეს ყოველივე კავშირი ს. დ. მუშათა პარტიასთან.

კონფერენცია მოუწოდებს იმ ამხანაგებს, რომელთაც წინეთ ჰქონდათ რაიმე კავშირი გაზ. „ახალ სხივთან“ ახლავე გამოარკვიონ თავისი პოზიცია და აირჩიონ პარტიასა და ამ ორგანოს შორის.

კონფერენცია ავალებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს—ცენტრ. კომ—ტს, მიიღოს შესაფერი ზომები ყველა ზემოთ-აღნიშნულ დადგენილებათა სავსებით გასატარებლად და პარტიაში სასტიკი დისციპლინის აღსადგენად.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

21 იანვარი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

იაპონია და ჩინეთი.

ჩინეთის მთავრობამ კვლავ მიმართა წინადადებით იაპონიის მთავრობას განაახლონ მოლაპარაკება 1919 წლის ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ჩინეთი თავის წინადადებას ასაბუთებს იმით, რომ საბჭოთა მთავრობა ამ ჟამად არც ჩინეთს და არც იაპონიას არ ეომება.

იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობა.

ლივორნოში იტალიის სოციალისტურ პარტიის ყრილობა გაიხსნა.

ნავთი.

მოსკოვი. 20 იან. რუსეთის ნავთით მდიდარმა ადგილებმა—ბაქომ, გროზნომ და ფერგანის ოლქმა, რომლებიც ომამდე საშუალოთ ყოველწლიურათ 500 მილ. ფუთზე მეტ ნავთს იძლეოდენ, 1921 განმავლობაში 203 მილ. ფუთი ნავთი მაინც უნდა მოგვცეს. იყო დრო, როდესაც რუსეთს მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა ნავთის დამუშავებაში. რუსეთში კიდევ ბევრია ნავთიანი ადგილები, რომელთა დამუშავებაც ჯერაც არ დაწყებულა. ამ რიგად, რუსეთის განკარგულებაში დიდძალი ნავთის პროდუქტები იმყოფება. 1920 წ. აგვისტოში ბაქოში და გროზნოში სულ 309 მილ. ფუთი ნავთი იყო დაგროვილი. 1921 წლის განმავლობაში ნავთის მარაგი 305 მილ. ფუთამდე გვექნება. 3/4 ამ მარაგისა ე. ს. 100 მილ. ფუთი ჩვენ შეგვიძლია გავიტანოთ საზღვარ გარეთ და იმით სხვადასხვა საქონელი შევიძინოთ.

გერმანული ცნობები

გერმანიის ქაღალდის ფული უცხოეთში

გერმანიის ქაღალდის ფულის რაოდენობა საზღვარ გარეთ 70 ათას მილ. მარკამდე აღწევს.

საფოსტო ტარიფის გადიდება.

გერმანიის კაბინეტმა დაამტკიცა საფოსტო ტარიფის გადიდება წერილებზე და ამანათებზე.

კომუნისტების განდევნა.

აღმშენებლებთა კავშირის კომიტეტიდან კომუნისტურ პროპაგანდის გაწევის გამო სამი წევრი გამორიცხეს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ანგორაში მიმავალი საქართველოს დელეგაცია.

კონსტანტინოპოლი „ბოსფორი“ იუწყება: ტრაპეზონში ჩავიდა ანგორაში გაგზავნილი საქართველოს საგანგებო მისია სიმონ მდივანის თავმჯდომარეობით. მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლები მისიას დიდის ზეიმით შეეგებენ. მისიის საპატივცემულოდ გაიმართა ჯარების ალლუმი, რის შემდეგაც გუბერნატორის სასახლეში გაიმართა ბანკეტი. სამსუნიდან მისია ანგორისაკენ ავტომობილებით გაემართა.

ინფორმაცია საქართველოს შესახებ.

„ბოსფორი“ იუწყება: ყველა ცნობა, რომელიც ბოლშევიკების საქართველოსადმი მუქარას შეეხება, ბოროტი ფანტაზიის გამოგონილია. თფილისისა და მოსკოვის დამოკიდებულება ასე თუ ისე ნორმალურია. ბათომიდან ჩამოსული პირნი, რომელნიც ამგვარ ხმებს ავრცელებენ, უმთავრესად წარმოადგენენ საქართველოდან გამოსახლებულ სპეკულიანტებს, რომელთაც უფლება არა აქვთ საქართველოში დაბრუნებისა.

ბოლშევიკები ახალ ომისთვის ემზადებიან.

ბერლინი უკანასკნელ დღეებში მივიღეთ ცნობები ბოლშევიკების სამხედრო მზადების შესახებ რიგის ახლო. წითელი ლაშქარი გროვდება აგრეთვე ესტონეთის საზღვრებთანაც. ესტონეთის მთავრობამ, რომელსაც მხოლოდ 12 000 კაციანი ლაშქარი ჰყავს, ჟენევიდან სასწრაფოდ გამოიწვია გენ. ლაიდენერი. საბჭოთა მთავრობა არ ფარავს, რომ ერთად ერთ გამოსავალს რუსეთის თანამედროვე მძიმე ეკონომიურ კრიზისიდან წარმოადგენს ომი და ახალ ტერიტორიათა ოკუპაცია. მოსკოვი სამხედრო მოქმედებათა დაწყებას თებერვალში ფიქრობს.

ახალი ამბები

დღეს, 22 იანვარს, საღამოს სრულ 6 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციის სხდომა.

◆ **მცხოვრებთა აღწერა.** იანვრის 21 დამთავრდა 1, 3 და 13 უბნის მცხოვრებთა აღწერა, იანვრის 22 დამთავრდება სხვა დანარჩენ რაიონთა აღწერაც. იანვრის 19-დე აწერილი იყო 55.000 ამომრჩეველი.

◆ **თფილისის ელექტროფიკაცია.** ქალაქთა კავშირში ამთავრებენ მდ. ხრამის წყლის ძალის გამოკვლევისა და დამუშავების პროექტს. ეს ძალა სურთ გამოიყენონ თფილისისა, თფილისის რაიონისა, კოჯორის ტრამვაის და სხვ. საელექტროფიკაციოთ, ამასთანავე მიღებულია ზომები, რომ გზათა დეპარტამენტთან ერთად დაამუშაონ აღმოსავლეთ საქართველოს რკ. გზათა ელექტროფიკაციის პროექტი. ქალაქთა კავშირის პროექტით გათვალისწინებულია 8 სადგურის მოწყობა. ამ სადგურებს ექნებათ დაახლოვებით 50,000 ცხენის ძალა. სადგურები მოწყობილი იქნება თანდათანობით. პირველი სადგურის კეთებას შეუდგებიან პროექტის დამუშავებისთანავე.

◆ **თელავის მაზ. სოფ. ფშაველში** (თელავიდან 18 ვერსია) გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება.

◆ **ბათომში დასრულდა იმ კომისიის მუშაობა,** რომელსაც მინდობილი ჰქონდა რ. ს. ფ. ს. რ.-სათვის გემების გადაცემის საქმე. შეადგინეს გემების სია, რომელიც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცემა. ეს გემები უკვე გადაეცა ზემოაღნიშნულ რესპუბლიკის წარმომადგენელს ზვერევს თანახმად 7 იანვრის ოქმისა და საქართველოს ნავთსადგურთა უფროსის განკარგულებისა. (სდს).

◆ **ცენტრალურმა კომიტეტმა** მიიღო გურიის კომიტეტისაგან საპროცენტო გადასახადი 10.000 მან.

◆ **ლექცია.** კვირას, იანვრის 23-ს, დღის 12 ს. ყოფილ ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის შენობაში (რუსთ. პრ. № 10) სასოფლო სამეურნეო ფაკულტეტის სასარგებლოთ წაკითხული იქნება ლექცია პრ. ბ. ე. შაცკის მიერ შემდეგ თემაზე: „პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ამერიკაში“, ბილეთები გაიყიდება ლექციის დღეს შესავალთან.

◆ **პროფესიონალური კავშირის საღამო.** 22 იანვარს სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში რესტორან-კლუბების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი მართავს დიდ კონცერტ-კაბარეს, რომლის შემოსავალი (ნახევარი) მოხმარდება ფრონტის საჭიროებას, მეორე ნახევარი უმუშევართა სასარგებლოთ გადაიდება. ამ საღამოსათვის მოწვეული არიან ყველა საუკეთესო არტისტიული ძალები თფილისის თეატრებისა: დრამის (ქართულ რუსულ) ოპერისა და სხვების. მოწვეულია აგრეთვე სიმფონიური ორკესტრი. კაბარეს დროს გაიმართება ვახშამი. საღამოს დასაწყისი $7^{1}/_{2}$ საათზე.

◆ **წარმოდგენა ჯარში.** დღეს, 22 იანვარს, მე 5 ქვეითა ათასეულის თეატრში მსახიობ თარალაშვილის ხელმძღვანელობით წარმოდგენილი იქნება ჯარისკაცებისთვის სამ მოქმედებიანი ეპიზოდი ჯარისკაცის ცხოვრებიდან „სიკვდილით და ჯა“ ს. ერთაწმინდელისა. დაუკრავს სამხედრო მუსიკა. გარეშე პირებსაც შეუძლიანთ დაესწრან.

◆ **მასწავლებელთა კოოპერატივ „უნივერსალში“** ეძლევა წევრებს ყველი, ერბო, ლობიო, საპონი და სხვა სანოვაგე. დღიდ 11—5 საათამდე. (დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5).

◆ **დუშეთის სამაზრო** ს. ს.-დ. მ. პ. კომიტეტის კრება დანიშნულია კვირას, 30 იანვარს დილის 10 საათზე. დასწრება წევრთათვის სავალდებულოა.

კრებები.

— შაბათს, 22 იანვარს, საღამოს 6 ს. ერობის შენობაში (რუსთაველის პრ. № 6) დანიშნულია თფილისის მაზრის ერობის მოსამსახურეთა საერთო კრება.

— კვირას, 23 იანვარს, დილის 11 ს. თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა მორიგი კრება.

გამგეობა.

პარტიული კრებები

მეოთხე რაიონული კოლექტივი კვირას, 23 იანვარს, დილის 10 საათზე, იწვევს მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა მეორე საზოგადო კრებას. დღიური წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივის ერთი წლის მუშაობის შესახებ, 2) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 3) არჩევნები კოლექტივის, თფილისის კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა, 4) მიმდინარე კითხვები. ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა. რადგანაც კრება მეორეჯერ არის მოწვეული, კანონიერათ ჩაითვლება მიუხედავათ დამსწრეთა რაოდენობისა.

(2—1)

— მეოთხე რაიონული კოლექტივი, დღეს, საღამოს 6 საათზე, სოლოლაკის მცირე კოლექტივის ახალ ბინაზე (განოვის ქ. 9, მესამე სართული) იწვევს მესამე და მეორე უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა საზოგადო კრებას. განხილული იქნება მეტად საჭირო კითხვები. ყველა პარტიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

— შაბათს, 22 იანვარს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საგ. საქ. სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან

20 იანვარს ახლად დანიშნულმა იტალიის პოლიტიკურმა აგენტმა სამეფო საელჩოს მრჩეველმა კომანდორმა ვიტორიო ჩერუტიმ ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი საბახტარაშვილი და გადასცა მას თავისი რწმუნების საბუთები.

სამსახურის საქმეების გამო კავკავიდან ჩამოვიდა საქართველოს კონსული ს. რ. წუწუნავა. კერძო პირთ საკონსულო საქმეების შესახებ ღებულობს საგარეო საქმეთა სამინისტროში 11—1 საათამდე.

საარჩევნო აღწერა

21 იანვარს დამთავრდა საარჩევნო აღწერა.

ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა სიების შედგენას.

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, თითქო შემდეგ არ შეიძლებოდეს ამ სიებში ვინმეს შეტანა.

კანონის ძალით შედგენილი სიები რამდენიმე დღით იქნება გამოფენილი განსახილველათ საარჩევნო უბნებში.

ამიტომ, თუ ვინმე გამორჩა სიებში, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ეხლავე უნდა შეკრიბონ ასეთი ცნობები და, გამოაფენს თუ არა სიებს ქალაქის გამგეობა, უნდა მოსთხოვონ დარჩენილთა შეტანა სიებში.

ამხანაგებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ განაპირა უბნებს.

სრულიად მოსალოდნელია აღმწერლებმა ან დაუდევრობით, ან შეცდომით ვერ შეიხედეს მუშების ბინებში, ვერ მონახეს ისინი... ამიტომ ჩვენვე შევიტანოთ სიებში თუ ვინმეა დარჩენილი. ვიმეცადინოთ ჩვენს პარტიას არ დაეკარგოს არც ერთი ხმა. კანონით, სიები გამოფენილი იქნება სამი დღის განმავლობაში.

გამოცხადდება თუ არა სიების გამოფენის დღე, ჩვენ ყველანი მზათ უნდა ვიყოთ წარვუდგინოთ უბნებს ყველა ცნობები სიების გარეშე დარჩენილთა შესახებ.

ვიმეცადინოთ არ გავუშვათ ეს დრო!

ან—რე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

სამაზრო ერობათა კავშირებს, აფხაზეთის კომისარიატს და თფილისის ქალაქის გამგეობას.

დამატებით წარსული წლის 8 ოქტომბრის № 225545 ცირკულიარულ მიმართვისა, კანცელარია გატყობინებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგარმა კომისიამ საჭიროდ სცნო შეცვლილ იქმნას აღნიშნულ ცირკულიარის პირველი მუხლი, იმ მხრივ, რომ სამხედრო მიმღებ კომისიების სამხედრო წევრებსაც უნდა მიეცეთ დღიურები შინაგან საქმ. სამინისტროს თანხიდან იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მიემგზავრებიან თავის მუდმივ სამსახურის ადგილიდან, რადგანაც უკანასკნელ შემთხვევაში ისინი დღიურებს ღებულობენ სამხედრო უწყებიდან ამის გარდა წარმოდგენილ დაწვრილებით ანგარიშში აღნიშნული უნდა იყოს, თუ რამდენჯერ მოხდა კომისიების სხდომები და რამდენი წევრები იღებდა მონაწილეობას, ყველა ეს ცნობები წარმოდგენილი უნდა იქმნას სამინისტროში მხოლოდ მაისის მობილიზაციის, აგვისტოს სასწავლო ყრილობის და უკანასკნელ ნოემბრის მობილიზაციის დროს მუშაობის შესახებ.

მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გამო

რა გზით?

დემოკრატიას და განსაკუთრებით კი მუშათა კლასს სულს უხუთავს ეკონომიური სიდუხჭირე; იმდენათ გართულდა და გამწვავდა სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი, რომ მისგან გამოწვეულმა ტკივილებმა თითქმის დაჩრდილეს არა ნაკლებ გართულებული ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა.

მუშათა ფართო წრეებში დიდ გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, რომ პოლიტიკურათ გაბატონებული სოციალ-დემოკრატია ეკონომიურათ არ აკმაყოფილებს მუშათა ყოველგვარ მოთხოვნილებებს. ამიტომაც არის, რომ მუშათა ფართო წრეებში ფეხს იკიდებს ეჭვიანობა და რყევა. ბევრნი ხელ-ფასის კვლავინდებური გადიდებით ფიქრობენ მდგომარეობის გაუმჯობესებას და როდესაც ამაში ეწინააღმდეგებიან, ისინი გაფიცვით იმუქრებიან.

სამწუხაროთ მუშათა ასეთი წრეები ჯერაც ვერ ამაღლებულან იმის შეგნებამდე, რომ პოლიტიკურათ გაბატონებულ მუშათა პარტიის ეკონომიურ საქმიანობას თავისი გარდუვალი რკინის კანონებით ზღუდავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური სინამდვილე. ჩვენი მუშათა კლასის ეკონომიური მოთხოვნილებანი განისაზღვრება ჩვენში არსებული საწარმოვო ძალებით. გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მხოლოდ განვითარებული საწარმოვო ძალებით შეიძლება, რაც საშუალებას მოგვცემს სახალხო სიმდიდრის წარმატებისას. უამისოთ შეუძლებელია მუშათა ყოფა ცხოვრების თვალსაჩინო გაუმჯობესება.

ამიტომაც არის, რომ რეალური სამუშაო ხელ-ფასი იმდენათვე ეცემა, რამდენადაც მატულობს ის ნომინალურათ.

დღეს უკვე ყველასათვის აშკარა შეიქმნა, რომ ხელ-ფასის ხელოვნურათ ზრდა ბონებით, მიუხედავათ საწარმოვო ძალების და სახალხო სიმდიდრის ზრდა-განვითარებისა, როგორც ეკონომიურათ, ისე ფინანსიურათ დამღუპველია; დამღუპველი აღმოჩნდა ის როგორც მუშათა კლასისათვის, ისე მისგან შექმნილ სახელმწიფოსათვის.

ყველაზე უფრო ნათლათ დამტკიცდა ეს ბოლშევიკების ეკონომიური ულტრა-პოლიტიკით, რომლებმაც არავითარი ანგარიში არ გაუწიეს რუსეთში არსებულ ეკონომიურ სინამდვილეს და თავისი „სოციალისტური ექსპერიმენტებით“ როგორც პოლიტიკურათ, ისე ეკონომიურათ გაანადგურეს რუსეთი და უმთავრესათ კი მუშათა კლასი. ამისი უმთავრესი მიზეზია განადგურება საწარმოვო ძალებისა და აქედან სახალხო სიმდიდრისა.

როგორც რეალური ხელფასის, ისე ზედმეტი ღირებულების და საზოგადოთ კი სახალხო სიმდიდრის ზრდა დამოკიდებულია საწარმოვო ძალების განვითარებაზე და შრომის განაყოფიერებაზე. ამიტომაც ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის მთავარი ხაზი სწორეთ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული.

ნათქვამის ჭეშმარიტებაში დაგვარწმუნა მწარე გამოცდილებამაც, რომელმაც დაგვანახვა, რომ ხელ ფასის ბონებით მომატება ხელოვნურათ ადიდებს მას და უმალვე იწვევს ფასების ზრდას; ხოლო ფასების ზრდა თავის მხრივ იწვევს ხელ ფასის ხელოვნურსავე მომატებას. ამნაირათ იქმნება დაუსრულებელი მოჯადოვებული წრე, რომელიც სხვა მიზეზებთან ერთად მოქმედობს ფულის კურსის დაცემაზე, ძირ-ფესვიანათ არყევს და არღვევს სახელმწიფოს ფინანსებს და მით აჩქარებს მის კატასტროფას.

დღიდან სოციალდემოკრატიის მართველობისა სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა ეკონომიური ბრძოლა უმთავრესათ გამოიხატება ხელ-ფასის და ფასების შეჯიბრებაში. ხელოვნურათ აწეულ ხელ-ფასზე კაპიტალისტები ბაზარზე ფასების აწევით უპასუხებენ; ამ გზით ფაბრიკა-ქარხნებში ხელ ფასის სახით დაკარგულ ღირებულებებს ისინი ბაზარზე ინაზღაურებენ ერთი ორათ ფასების აწევით. ამნაირათ კაპიტალისტები იცავენ თავის პრივილეგიურ არსებობას; ისინი ამ სახით მუშათა კლასს ხელიდან სტაცებენ სახალხო სიმდიდრის საგრძნობ ნაწილს.

ცხადია, დღევანდელ პირობებში ხელ ფასის ხელოვნურათ აწევით მუშათა კლასი ეკონომიურ ბრძოლას აგებს; ის მარცხდება, ილუპება და მასთან ერთად ირღვევა ეკონომიურათ მისგან შექმნილი სახელმწიფოც.

ამიტომაც მუშათა კლასმა დღევანდელ ეკონომიურ პოლიტიკურ პირობებში უნდა შეცვალოს ძველი გზა ეკონომიური ბრძოლისა. თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის ბატონობის დროს სრულიად ბუნებრივი იყო გაფიცვების და ხელ ფასის მომატების საშუალებით თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მაშინ ასეთი გზა ერთად ერთი და აუცილებელი იყო. სულ სხვაა ახლა, როდესაც ეს პირობები რადიკალურათ, ძირფესვიანათ არის შეცვლილი. თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკურათ დემოკრატია და მისი ავანგარდი მუშათა კლასია გაბატონებული; ასეთ პირობებში ძველი გზით ეკონომიური ბრძოლის გაგრძელება—ეს იქნება ბრძოლა თავისავე თავის წინააღმდეგ. ეს დაანგრევდა და გაანადგურებდა იმას, რასაც თავისი სისხლით აშენებდა და დღესაც აშენებს მუშათა კლასი.

თუ ხელ ფასის და ფასების ურთიერთობა და მათი რაოდენობა დამოკიდებულია საწარმოვო ძალების მდგომარეობაზე, თუ ჩვენი საწარმო ძალები რეალურათ საზღვრავენ როგორც ერთს, ისე მეორეს,—აქედან ცხადია, რომ ნორმალური ეკონომიური ცხოვრების აღსადგენათ მუშათა კლასმა უნდა აამუშაოს მაქსიმუმი თავის სამუშაო ენერგიისა შრომის ნაყოფიერების გასაზრდელათ.

სანაქებოთ და სასიქადულოთ ჩვენი მუშათა კლასისა უნდა ითქვას, რომ ის ამ მეტად მძიმე ეკონომიურ ფრონტზედაც გმირულ ბრძოლას ეწევა ჯოჯოხეთურ გაჭირვებასთან. პოლიტიკურათ სამაგალითოთ აღზრდილი და შეგნებული მუშათა კლასი მთლიანი ფრონტით ებრძვის ეკონომიურ სიდუხჭირეს; ის სასტიკათ საზღვრავს თავის თავს. ბონების ხელოვნურად მომატებას ჩვენი შეგნებული პროლეტარიატი შეგნებულათვე აღარ თხოულობს; და ამით ის თავიდან იცილებს და სახელმწიფოსაც აშორებს იმ დანგრევას, რომელსაც უქადდა მას მოლიპული გზა.

მაგრამ რა ზომები და საშუალებები უნდა მიიღოს მუშათა კლასმა ამ გზაზე ამაზე შემდეგ.

ი. ირემაშვილი.

საჭირო განმარტება

მასწავლებელთა დელეგატების ყრილობაზე ზოგიერთი „მოხსენება ადგილებიდან“ სინამდვილეს არ შეეფერებოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სამურზაყანოსა და ლეჩხუმ-სვანეთის შესახებ.

ამ უკანასკნელთა მომხსენებლები ხაზგასმით უსაყვედურებდენ სამინისტროს უყურადღებობას და უმოქმედობას მაშინ, როცა ეს მხარეები ღირსია განსაკუთრებული მზრუნველობისა.

საჭიროდ მიგვაჩნია ასეთს შეუსაბამო ინფორმაციაში სათანადო შესწორების შეტანა, როგორც თვით მომხსენებელთა, აგრეთვე საზოგადოების საყურადღებოდ.

საქმე ის არის, რომ მომხსენებლები ყოველთვის დანამდვილებით არ იცნობენ ადგილობრივ საქმის მდგომარეობას და განსაკუთრებით იმას, თუ რა გაუკეთებია, ან რას აკეთებს განათლების სამინისტრო საერთოდ და განსაკუთრებით ამა თუ იმ კუთხეში.

ეს კი აიხსნება იმით, რომ ხანდახან მომხსენებელი კისრულობს მოხსენებას ისეთი კუთხის შესახებ, რომელიც „თავის დღეში არ უნახავს“ და არც ხელთ აქვს საჭირო მასალა.

ასეთი იყო, მაგალითად, მომხსენებელი სამურზაყანოს შესახებ.

სიმართლის აღსადგენად უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სამინისტრო სწორედ განაპირა კუთხეებს აქცევდა და აქცევს თავის განსაკუთრებულ ყურადღებას: ამას თავისი გასაგები მიზეზი და მიზნებიც აქვს

სამინისტროს მზრუნველობის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ განაპირა ქვეყნებში საერთოდ, ცალკე კი ამ დასახელებულს სამურზაყანო-ლეჩხუმ სვანეთში სკოლათა რიცხვმა შესამჩნევად იმატა როგორც ძველს რეჟიმთან, ისე გასულს წელთან შედარებით.

დაწყებით სკოლათა რიცხვი ამ მხარეებში ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ძლიერ მცირე იყო, ხოლო უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი (გარდა ცაგერისა, ლეჩხუმ. მაზრაში) სრულიად არ მოიპოვებოდა.

წელს დაწყებით სკოლათა რიცხვი სამურზაყანოს მაზრაში აღემატება გასული წლისას თხუთმეტით, ლეჩხუმსვანეთში—რვა სკოლით. მასწავლებელთა რიცხვი გასულ წელთან შედარებით პირველში 37-ით მეტია წელს, მეორეში—34 ით. ხოლო უმაღლეს დაწყებით სასწავლებლები გაიხსნა წელს ორ-ორი თითო ამ დასახელებულს მაზრაში (ორ-ორიც შარშანდელი გახსნილია). ასე რომ, თვითეულს მაზრას ოთხ ოთხი უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი აქვს. საქართველოს რესპუბლიკის დაარსებამდე კი სამურზაყანოში სრულიად არ ყოფილა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი.

მაგრამ მარტო სკოლების გამრავლებით არ განისაზღვრება სამინისტროს მოქმედება ამ მაზრებში.

სამინისტრომ კარგად იცოდა, რომ სკოლებისათვის საჭირო იყო სათანადო მომზადებული მასწავლებლები და შესაფერისი სასკოლო შენობები. ამ მიზნით მან მოაწყო სამასწავლებლო კურსები და მისცა ერობებს სკოლების შენობათა შესაკეთებელი თანხები.

სამურზაყანოს სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის მოეწყო ქუთაისში, გასული ზაფხულის განმავლობაში, სპეციალური პედაგოგიური კურსები სამინისტროსა და ერობის საშუალებით. ამავე დროს ასეთივე კურსები მოეწყო სვანეთ-რაჭა-ლეჩხუმის მასწავლებელთათვის ლაილაშში, სადაც ლექციებს ისმენდენ როგორც ახლად მოსამზადებელი, ისე ძველი მასწავლებლები.

სკოლების შესაკეთებლად სამინისტრომ გაუხსნა შესაფერი კრედიტი სამურზაყანოს სამაზრო ერობას 500,000 მანეთის მაშინ, როცა სხვა მაზრებს, სადაც უფრო მეტი სკოლა იყო, შედარებით ნაკლები შეხვდა. ლეჩხუმის სამაზრო ერობამ მიიღო ამავე საქმისათვის 60,000 მანეთი, [illegible], განსაკუთრებით სვანეთისათვის,—350,000 მანეთი.

გარდა ამისა, სამინისტროს ჰყავს 20 ახალგაზრდა სტიპენდიანტი სვანი საქართველოს სხვადასხვა დაბალსა და საშუალო სასწავლებელში და 3 ლეჩხუმელი სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში.

ლეჩხუმ-სვანეთის სკოლებს სამინისტრო უწევს დახმარებას სასწავლო ნივთებითაც. ამ მიზნით, თანახმად საგანგებო კომისიის შუამდგომლობისა, სამინისტრომ გადაუგზავნა ერობას სპეციალურად სვანეთის სკოლებისათვის 186 ათას მანეთის სასწავლო წიგნები, ამას გარდა თავის საწყობიდან უზრუნველყო იგივე სკოლები რვეულების სათანადო რიცხვით.

დაბალ სკოლათა მთავარი გამგე
გ. ჟუჟუნაძე.

სახალხო განათლების სამინისტროს მოხსენებიდან

(გაგრძელება).

თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მიმდინარე 26 იანვარს ჩვენს უნივერსიტეტს სამი წელი შეუსრულდება. თავდაპირველად იგი კერძო სასწავლებელი იყო და მხოლოდ ერთს, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პირველ სემესტრს შეიცავდა; მსმენელთა საერთო რიცხვი ამ დროს 458 უდრიდა, რომელთაგან 369 სტუდენტი იყო. 1918 წ. 3 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ეს სასწავლებელი თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოაცხადა და მისი შენახვაც სახელმწიფო ხაზინას დააკისრა.

1918 წ. შემოდგომიდან უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილებით სამათემატიკო საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტებიც გაიხსნა.

წინათ მხოლოდ დარგად არსებული სასოფლო მეურნეობა 1920 წ. გაზაფხულის სემესტრში უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებით სასოფლო მეურნეობის განყოფილებად გადაკეთდა. ამის გამო სამეთამატიკო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ამიერიდან სამი განყოფილებისაგან შესდგება: სამათემატიკო, საბუნებისმეტყველო და სასოფლო მეურნეობისა, რომელთანაც სამეცნიერო საცდელი აგრონომიის ინსტიტუტი არსდება.

1920 წ. შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა უნივერსიტეტთან უმაღლესი ტეხნიკური ინსტიტუტიც დაარსოს, რომლის პროექტისა და გეგმის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისია არჩეული.

ამ ჟამად, 1920 წ. შემოდგომის სემესტრ. სამსავე ფაკულტეტზე 7 სემესტრის სტუდენტობა სწავლობს და მოსწავლეთა საერთო რიცხვი 2814 აღწევს, რომელთაგან 2729 სტუდენტია, ხოლო 85 მსმენელი. წარსულ სემესტრთან შედარებით სტუდენტ მსმენელთა რიცხვმა 907 ით იმატა. სხვა ფაკულტეტებზე სწრაფად სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტ-მსმენელნი მრავლდებიან, რომელთა რიცხვმა 1920 წ. შემოდგომის სემესტრში 472-ით იმატა.

სტუდენტობა, თუ საერთოდ ფაკულტეტებისდა მიხედვით და სქესთა რიცხვის თვალსაზრისით განვიხილავთ ასეა განაწილებული.

	ვაჟი	ქალი
სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე	707	283
სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო	549	230
სამკურნალოზე	593	367
სულ	1849	880

ვაჟების რიცხვი ქალებისას 969 ით სჭარბობს. ვაჟები უფრო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ეტანებიან, რომელზედაც (განსაკუთრებით საეკონომიო დარგზე) მათი რიცხვი უდრის 503, შემდეგ სამკურნალოს, მერმე სამათემატიკო საბუნებისმეტყველოს, რომელზედაც დიდი უმრავლესობა აგრონომები არიან. ქალები უფრო სამკურნალოს ეტანებიან, შემდეგ სიბრძნისმეტყველებისას, მერმე სამათემატიკო-საბუნებისმეტყველოსას.

1920 წლ. შემოდგომის სემესტრში მთავრობის დადგენილებით დახურული ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტ-მსმენელთათვის მოწყობილ დროებით პარალელ რუსულ განყოფილებაზე მე 2 და მე-3 კურსზე სულ 480 სტუდენტია, 278 ქალი და 202 ვაჟი, აქედან სამკურნალოზე 257 ქალია და 202 ვაჟ, საბუნებისმეტყველოზე 21 ქალი და 8 ვაჟი.

1920 წ. შემოდგომის სემესტრში უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირად შედგენილობას ეკუთვნოდა 39 პროფესორი, 10 დოცენტი, 17 ლექტორი, 44 ასისტენტი, 4 ლაბორანტი და 13 ორდინატორი. პროფესორ-დოცენტ ორდინატორთა საერთო რიცხვი 66 შეადგენს, ასისტენტ-ლაბორანტ-ორდინატორთა—კი— 61. 49 პროფესორ-დოცენტთაგან 38 ქართველია, რუსი 10 პროფესორი და 1 დოცენტი. 17 ლექტორთაგან 10 ქართველი და 4 სომეხი, მათ შორის 3 ქართულად კითხულობს და მეოთხემაც ქართული იცის. ხოლო 3 რუსია. 44 ასისტენტიდან 7 რუსია, რომელთაგან ზოგმა ქართული იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინსტრუქტორები ყველანი ქართველები არიან.

რადგან ქართველი უფლებამოსილნი მეცნიერი, რამოდენიმე რუსეთში ჩარჩენილის გარდა, რომელთა საქართველოში ჩამოყვანას ჩვენი უნივერსიტეტის გამგეობა დიდი ხანია ცდილობს,—ყველანი უკვე უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან და ზოგიერთ მეცნიერებისათვის, ქართველთა შორის ჯერ არც უფლება მოსილი წარმომადგენელთა არ მოგვეპოვება, ამიტომ ამ საგნებისათვის უცხოელ მეცნიერთა რამოდენიმე წლით მოწვევა აუცილებელია. უნივერსიტეტის საბჭოს დადგენილებისამებრ გამგეობამ ცნობები ჩვენ უნივერსიტეტში თავისუფალი კათედრების შესახებ დასავლეთ ევროპაში, შვეიცარიაში, გერმანიაში, იტალიაში, საფრანგეთში და ინგლისში გაგზავნა, მაგრამ ჯერჯერობით ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ეს გარემოება განსაკუთრებით საგზაო ხარჯების სიდიდითა და ჩვენი საპროფესორო ჯამაგირების სიმცირით აიხსნება. ამიტომ უნივერსიტეტის მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვაში დასავლეთ ევროპიდან მისაწვევ პროფესორთათვის უეჭველად საჭირო თანხა უნდა იქნას შეტანილი და მთავრობაც დაეხმაროს მათ საქართველოში ჩამოყვანაში.

ფაკულტეტები, კათედრები და მათთან არსებული დაწესებულებანი.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დარგებად არის დაყოფილი. 1920 წლამდე ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ენათმეცნიერების, სიტყვიერების, ისტორიისა და ეკონომიურ მეცნიერებათა დარგები არსებობდა. 1920 წ. სარწმუნოებათა მეცნიერების და ხელოვნების დარგებიც დაარსდა.

1. სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტთან არსებობს:

1. ფოტოგრაფიული კაბინეტი, რომელშიაც თავმოყრილია საქართველოს და ამიერ-კავკასიის სიძველეთა, ძეგლების, ეთნოგრაფიული და ბუნების სანახაობის სურათების ნეგატივები მთლად ხოლო სპარსეთ-ოსმალეთის ნაწილობრივ. ასეთი ძვირფასი და მდიდარი კოლექცია იშვიათია საზოგადოთ და ეს კაბინეტი ჩვენი უნივერსიტეტის საუკეთესო მშვენებას შეადგენს. მზადდება ფოტოგრაფიული კაბინეტის სრული სისტემატიური კატალოგი, რომელიც დაიბეჭდება და უცხოეთის უმთავრეს სამეცნიერო დაწესებულებებს დაეგზავნება.

2. სამათემატიკო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი.

სამ განყოფილებათაგან სასოფლო მეურნეობა ჯერ სრულებით მოუწყობელია, რადგან მას არც ერთი აუცილებლად საჭირო დაწესებულებაც კი საკუთრად არ მოეპოვება, მიწად მოქმედების სამინისტრომ კი უნივერსიტეტისათვის გადმოცემაზე უარი განაცხადა. უნივერსიტეტმა გერმანიიდან ამ განყოფილებისათვის სამი პროფესორი გამოიწერა, მაგრამ ჯერ არავის თანხმობა არ განუცხადებია ისე, რომ ფაკულტეტი იძულებული იყო დროებით მოწვეულებისათვის ამ მიმდინარე საგნების წაკითხვა 1921 წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამეურნეო განყოფილებასთან აუცილებლად უნდა მოეწყოს ყველა საჭირო დაწესებულებანი და გერმანიიდანაც აგრონომი პროფესორები უნდა ჩამოყვანილ იქმნენ.

სხვათა-შორის აღსანიშნავია, რომ რაოდენობითი ანალიზისა და აგრონომიულ ქიმიის ლაბორატორიის გამგე პროფ. პ. მელიქიშვილი თავის თანამშრომლებითურთ ინტენსიურს სამეცნიერო მუშაობას აწარმოებდა და უკვე 4 გამოკვლევა გამოაქვეყნა უნივერსიტეტის ორგანოში: პ. მელიქიშვილის „ჩვენი სასმელ-საჭმელის ქიმიური შემადგენლობა", მისივე „ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა", ასისტენტ ნ. ბეზბორიშვილისა და ნ. ციციშვილის „კახური ღვინოების ანალიზები", ნ. ციციშვილის „ამონიაკის განსაზღვრა წყალში".

3. სამკურნალო ფ—ტი.

1920 წ. შემოდგომის სემესტრისათვის ნორმალური ანატომიის ინსტიტუტი მოეწყო, რომლისათვისაც საგანგებოდ გადაკეთებულ იქმნა მიხეილის საავადმყოფოს ეზოში მოთავსებული გაუქმებული საფერშლო სკოლის ძველი შენობა, სადაც გაკეთდა 236 მსმენელისათვის აუდიტორიუმი, მუზეუმი, 3 სავარჯიშო დარბაზი 192 მომუშავე სტუდენტისათვის და კიდევ სხვა ყველა საჭირო დაწესებულებანი. ჩვეულებრივი, მიმდინარე ლექციებისა და პრაქტ. ვარჯიშების გარდა ანატომიის კათედრამ და ინსტიტუტმა სახელმძღვანელოები და სამეცნიერო გამოკვლევებიც გამოაქვეყნა: პროფ. ალ. ნათიშვილი „ადამიანის ნორმალური ანატომია", მისივე „ტვინის სექციის სახელმძღვანელო", ასისტ. ზ. მაისურაძე „თირკმელის თანდაყოლილი ანომალია (ნალისებრი თირკმელი). თუმცა ლაბორატორიუმს ჯერ ბევრი იარაღი და ხელსაწყო აკლია, მაგრამ საკმაოდ [illegible] მოწყობილი პრაქტიკული ვარჯიშობისათვისაც და სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის. პროფ. ივ. ბერიტაშვილმა ცხოველთა ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოს 1 წიგნი დაბეჭდა.

1920 წ. მოეწყო კლინიკებიც დიაგნოსტიკისა, ქირურგიული პათოლოგიისა, ფ—ტის თერაპიული, ქირურგიული, სამეანო, გინეკოლოგიური, ნევროპათოლოგიური და ფსიქიატრიული კლინიკები. ზოგი მათგანის მოწყობა ჯერ დამთავრებული არ არის და ბევრი რამე აკლია, როგორც მაგ. ქირურგიულს, გინეკოლოგიურს, ნევროპათოლოგიურს და განსაკუთრებით ფსიქიატრიულს. გინეკოლოგიურ კლინიკასთან უნივერსიტეტი რენტგენო-რადიოთერაპიულს კაბინეტს ხსნის, რაც არსად მთელს ამიერ კავკასიაში არ მოიპოვება და თვით რუსეთშიაც იშვიათია. ზოგმა კათედრამ მიმდინარე ლექციებისა და პრაქტ. ვარჯიშობის გარდა სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოებაც მოახერხა, მაგ. პროფ. ალ. ალადაშვილის დიაგნოსტიკის კლინიკაში ასისტ. მ. წინამძღვრიშვილმა „ხონდროიდინის შევა შარდში ნაწლავების ტიფის დროს" და „შემთხვევა პერნიციოზული ანემიისა", ლაბ. ნ. მახვილაძემ „პელაგრის ოთხი შემთხვევა თფილისში", ორდ. ი. აბაკელიამ „ტუბერკულიოზი", თერაპ. კლინიკის ასისტენტმა შ. მიქელაძემ „ბორჯომის წყლის გავლენა კუჭის ჯირკვლოთა სეკრეციაზე", გინეკოლოგიის პროფ. გაბ. ღამბარაშვილმა „ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეების რადიორენტგენოთერაპია".

უნივერსიტეტმა თავისი საკუთარი სამეცნიერო გამომცემლობა მოაწყო 1918—1920 წ. მან 14 წიგნისა და „მოამბის" პირველი №-ის გამოცემა მოახერხა და სტუდენტთა 6 გამოცემასაც ქაღალდითა და ფულით დახმარება გაუწია: იმას გარდა, რომ ქართული სამეცნიერო მწერლობა გაჩნდა რაკი უნივერსიტეტის გამოცემული დიდი ტანის წიგნებიც კი 200—600-მდე იყიდებოდა, ეს ეხლანდელ სიძვირის დროს ჩვენი სტუდენტებისათვის დიდი შეღავათიც იყო.

უნივერსიტეტთან არსებული დაწესებულებანი 1 საპედაგოგო ინსტიტუტი.

საპედაგოგიო ინსტიტუტის მიზნად პედაგოგიკისა და ბავშვის სულიერ გონებრივი აღზრდასთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხების კვლევა ძიება, საქართველოს სკოლებისათვის გამოცდილ მასწავლებლების მომზადება და საპედაგოგიო ცოდნისა და მწერლობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობა. აქვე მასთან საექსპერიმენტო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კაბინეტი არსებობს, რომელიც 1920 წ. შემდეგ საკითხებს იკვლევდა: 1) ჩვენი ბავშვების იდეალი (10—16 წლამდე) და მისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ანალიზი, 2) ქართული შრიფტი და მისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ანალიზი, 3) მეხსიერების მეთოდიკა და ახალი მეთოდის საჭიროება, 4) ქართული თვლა და ციფრთა დეციმალური სისტემა (ექსპ. პედაგოგიური გამოკვლევა ანგარიშის რეფორმის საკითხისათვის). მასწავლებელთა მოსამზადებლად ორი საჰუმანიტარო და სამათემატ-საბუნებისმეტყველო განყოფილება მოეწყო და 19 უკვე მომავალს მაისს დაასრულებს სწავლას, ხოლო 40—46 კაცი 1922 წ. მაისში.

სასანიტარო ინსტიტუტი.

ჯერ-ჯერობით მოქმედებს მისი მხოლოდ ერთი, ბაქტერიოლოგიური განყოფილება, რადგან დანარჩენ განყოფილებათათვის უნივერსიტეტს შესაფერისი ბინა არ მოეპოვება. ინსტიტუტის სათავეში პროფ. ს. ამირეჯიბია, რომელიც ბაქტერიოლოგიურს განყოფილებას განაგებს. მას შემდეგ, რაც ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები უნივერსიტეტს გადმოეცა და უნივერსიტეტმა მის სათავეში პროფ. ს. ამირაჯიბი ჩააყენა, ყველა სამკურნალო შრატები და სხვადასხვა სენის საწინააღმდეგო ვაქცინები, რომელნიც წინათ რუსეთიდან, ან დასავლეთ ევროპიდან მოდიოდა ამიერ-კავკასიაში, ეხლა უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტში მზადდება. ამის წყალობით არამც თუ მარტო ჩვენი რესპუბლიკაა უზრუნველყოფილი ყოველგვარ შრატებით, ვაქცინებითა და დედტრიტით, არამედ ჩვენი ინსტიტუტი ჩვენ მეზობლებს სომხეთს და აზერბეიჯანს, თვით რუსეთს და ოსმალეთსაც კი აწვდის. (სულ 900,000-ზე მეტი ღირებულების იყო დამზადებული და ნაწილი ზემოაღნიშნულ ქვეყნებში გაიტანეს). რადგან ყოველ შუშაზე ქართულად და ფრანგულად დაბეჭდილია: „საქართველოს რესპუბლიკა, თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სასანიტარო ინსტიტუტი", ამიტომ ყოველი ამ მუშათაგანი საქართველოს სახელმწიფოს და მისი უნივერსიტეტის მაღალი კულტურული მოღვაწეობის მღაღადებელია. თვით ამერიკის წითელი ჯვრის და დამხმარე კომიტეტებს სომხეთისა, აზერბეიჯანისა და სპარსეთისათვის ყველა ზემოაღნიშნული ჩვენი სასანიტარო ინსტიტუტისაგან მოჰქონდა ყვავილის ასაცრელი დედტრიტი. ბოლშევიკურ რუსეთშიც წასაღებად და ანგორის მთავრობის მიერ ოსმალეთისათვისაც ჩვენ სასანიტარო ინსტიტუტში იყო შემოკვეთილი და დამზადებული. შავი ჭირი გაჩნდა თუ არა ბათომში, ჩვენმა ბაქტერიოლოგიურმა ლაბორატორიუმმა ასაცრელი ვაქცინა დაამზადა და ნაწილი ბათომში გაგზავნა, ნაწილი ინსტიტუტში ინახება. ახლო მომავალში ბალნეოლოგიური და მალარიის განყოფილებანიც გაიხსნება, აუცილებლად საჭიროა მხოლოდ, რომ მთავრობამ სასანიტარო ინსტიტუტისათვის შესაფერი შენობის მიცემით მას ნაყოფიერი მოქმედების გაფართოებას ხელი შეუწყოს.

უნივერსიტეტის წიგნთსაცავი.

უნივერსიტეტის არც ერთი დაწესებულება არ იზრდება ისე სწრაფად, როგორც წიგნთ-საცავი. თუ გახსნისას უნივერსიტეტს ერთი წიგნიც არ მოეპოვებოდა, ამ ჟამად მას უკვე დიდი წიგნთსაცავი იატაკიდან ჭერამდის თაროებითა და წიგნებით აქვს სავსე და 100 000-მდე წიგნი მოეპოვება ქართული, სომხური, სპარსული, არაბული, ოსმალური, რუსული, ლათინური, ბერძნული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური. მათ შორის ზოგი მეტად ძვირფასი და იშვიათია. განსაკუთრებით საისტორიო და ფილოლოგიურ შინაარსის წიგნებით არის მდიდარი, თუმცა ქიმიური და ეკონომიურ-სოციალური მწერლობაც საკმაო სისრულით არის წარმოდგენილი. ჩვენი უნივერსიტეტის წიგნთ საცავი მალე რუსეთის და ევროპა-ამერიკის ზოგს კარგად მოწყობილს უნივერსიტეტის წიგნთსაცავს დაეწევა.

ზემომოყვანილ მოკლე მიმოხილვიდანა სჩანს, რომ თუმცა ჩვენს უნივერსიტეტს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო და გასაკეთებელი აქვს, რომ მისი მოწყობა საბოლოოდ დასრულდეს, მაგრამ უმთავრესი მაინც უკვე გაკეთებულია და უნივერსიტეტი შეურყევლივ წარმატებაშია. მან თავი მოუყარა ყველა წინათ უცხოეთში გაფანტულ ქართველ მეცნიერებს, მრავალი, საქართველოსათვის სრულებით ახალი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობის დაწესებულება შექმნა და სამეცნიერო შემოქმედებითი მუშაობის დაწყობა მოახერხა. ეხლა უნივერსიტეტის მორიგ საზრუნავს, უნივერსიტეტთან უმაღლესი ტეხნიკური ინსტიტუტისა და ამ მიზნით არსებულ პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის გამოყენება, მისი უნივერსიტეტთან გაერთიანება და იურიდიული ფაკულტეტის გახსნა მოწყობა შეადგენს. უნივერსიტეტის საბჭომ დაასრულა უნივერსიტეტის მთელი წესდების განხილვა და მოკლე ხანში, საბოლოვოდ დამტკიცების შემდგომ, მას მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას წარუდგენს.

(შემდეგი იქნება)

დახმარება გერმანიაში მყოფ არა სტიპენდიანტ ქართველ სტუდენტობას

გერმანიაში მყოფი არა სტიპენდიანტი ქართველი სტუდენტობა მეტის მეტ ნივთიერ სივიწროვეს განიცდის.

დახმარების აღმოსაჩენათ შესდგა კომისია, რომელიც შეუდგა სხვადასხვა წყაროების გამოძებნას. ერთი უმთავრესი საშუალება,—ეს ნებაყოფლობითი, შემოწირულების სახით მიღებული დახმარებები იყო. ამ მხრივ სათანადო მიმართვა გაეგზავნა ქართველ საზოგადოებას პარისის საშუალებით.

ბერლინში არსებულმა საქართველოს საელჩომ თავის მხრივ მიმართა სხვადასხვა კერძო პირებს და საზოგადოებებს დახმარებისათვის. ამ მიმართვებმა დღემდის, შეიძლება ითქვას, სასურველი შედეგი მოგვიტანა, იმ მხრივ, რომ შეგროვილ იქნა საგრძნობი თანხა, რომლითაც ქართველ სტუდენტობას (მათ შორის საქართველოში მცხოვრები გერმანელებიც არიან) ცოტაოდენი დახმარება გაეწია.

დღემდის შემოვიდა სტუდენტობის დასახმარებლად; 1) ბ-ნ ხოშტარიასგან 35 ათასი მარკა, 2) გელზენკირხენის სააქც. საზ. და გუსტავ ტესენისაგან 30 ათასი მარკა, 3) კავკასიის მაღაროების საზ. მ. ზერნების სახლი 10 ათასი მარკა, 4) ბ-ნ რ. დათეშიძისაგან 2 ათასი მარკა 5) ბ-ნ ა. მეტრეველისაგან 2 ათასი მარკა. სულ 79,000 მარკა.

დამხმარე კომისია უღრმეს მადლობას უძღვნის აღნიშნულ პირებს და საზოგადოებებს დახმარებისათვის.

აღნიშნული თანხა გაუნაწილდა ღარიბ სტუდენტებს. ორიოდე თვე კიდევ და ეს თანხაც გამოილევა. ერთად ერთი იმედდათ მომავალში ისევ საზოგადოების გულშემატკივრობა მიგვაჩნია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული პირების მაგალითს სხვებიც მიბაძავენ და თითქმის, უკვე გამოლეულ თანხას, თავის წვლილს შემატებენ, რომ ამ წვლილით გერმანიაში მყოფ სტუდენტობას ცოტაოდენი დახმარება გაეწიოს და ამით საშუალება მიეცეს დაწყებული საქმე ბოლომდის მიიყვანოს.

ყოველივე დახმარება და წვლილი მიიღება ბერლინის საქართველოს ელჩის ვლად. გ. ახმეტელის სახელზე საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით.

ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

კომისიის თავმჯდომარე: **ვლ. ახმეტელი.**

წევრნი **ა. ნარხია, ნ. იმნაიშვილი, ხ. ბერეჟიანი, ლ. ვაშაკიძე, ა. ნიკოლაიშვილი, ლევ. ხუნდაძე.**

„ჯეჯილის" და „ნაკადულის" გამომცემლობა

საბავშვო წიგნების გამომცემლობის განვითარება და კერძო საბავშვო ჟურნალის გამომცემის საქმის ჯეროვან ნიადაგზე დაყენება უდიდეს საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისათვის.

დღევანდელ პირობებში ჩვენი საბავშვო მწერლობა და გამომცემლობა სულ მოისპობა, თუ საქმე სავსებით კერძო თაოსნობის ამარა დარჩება, ვინაიდან იგი უზომო ხარჯებს და ძლიერ ორგანიზაციას თხოულობს.

არასოდეს არ ყოფილა ჩვენს ქვეყანაში ისეთი მკვეთრი საჭიროება მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებულ საბავშვო გამომცემლობისა და ამავე დროს არასოდეს არ ყოფილა ისე ძნელი კერძო პირთათვის ამ საქმის მოწყობა და გაძღოლა.

სწორედ ასეთს დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენს არსებულ საბავშვო ჟურნალები „ჯეჯილი"-ს და „ნაკადული"-ს გამოცემის განგრძობა მათ ხელმძღვანელთათვის. ამ ჟურნალების მოსპობა ან ხანგრძლივი შეჩერება კი მაჩვენებელი იქნებოდა ჩვენი კულტურის და საზოგადოებრიობის უძლურების. მათი დახურვა ცუდად იმოქმედებდა ბავშვთა სულიერ განვითარებაზე და საგრძნობლად შეაფერხებდა სასკოლო კულტურის აღორძინების საქმეს.

ამიტომ „ჯეჯილი"-ს და „ნაკადული"-ს გამომცემელთა სურვილის თანახმად ერობათა კავშირმა მიმდინარე 1921 წლის იანვრიდან იკისრა მათი გამოცემა გაერთიანებული და გაფართოებული პროგრამით. მან გადასწყვიტა ამ დიდი საქმისათვის არ დაიშუროს არავითარი ნივთიერი და ინტელექტუალური ძალღონე. ერობათა კავშირი დარწმუნებულია, რომ თქვენი ოჯახი, სკოლა ფართო საზოგადოება, თვითმართველობა და მთავრობა ამ საქმის გაძღოლაში არ მოაკლებს მას მუდმივ თანაგრძნობას და დახმარებას.

ორი საბავშო ჟურნალი „ჯეჯილი" და „ნაკადული" გაერთიანებულია და გამოვა ერთი რედაქციის ხელმძღვანელობით ორ გამოცემად.

მოზრდილთათვის გამოვა „ჯეჯილი" თვეში ერთხელ, თვითეულ №-ში დაახლოვებით 64 გვერდი. თვიური ფასი 120 მანეთი.

მცირე წლოვანთათვის გამოვა „ნაკადული" თვეში ორჯერ, თვითეულ №-ში 32 გვერდი, თვიური ფასი ორივე ნომრის 120 მან.

ჟურნალს უძღვება სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც შედიან ქ-ნი ან. წერეთლისა, ქ-ნი ნ. ნაკაშიძე და ერობათა კავშირის კომიტეტის წევრი ვ. საყვარელიძე.

გარდა სარედაქციო კოლეგიისა, ჟურნალთან არსებობს მუდმივ თანამშრომელთა დამხმარე წრე, ექვსი კაცისაგან შემდგარი, რომელიც კვირაში ერთხელ იკრიბება მასალის და ჟურნალის ავკარგიანობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 13 იანვარს შესდგა ს. ს. დ. მ 3. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. მოსმენილ იქნა მოხსენება თფილისის კომიტეტიდან და მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: მოეწყოს მუშებისთვის გაზეთ „ერთობის" იაფ ფასებში დარიგება.

შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: მიღებულ იქნეს საჭირო ზომები, რათა ამხანაგები მეტი ჩაეწერონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

პარტიულ მუშაობის შესახებ კოლექტივის ცნობა, რომ 13 იანვარს პირველ სამხედრო სასურსათო საწყობების მუშებში მოწვეულ იქნა ფართო კრება, სადაც მოხსენება გააკეთა დამფუძნებელი კრების წევრმა ამხანაგ ლევან ნათაძემ. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები.

კოლექტივმა დაამტკიცა სამანდატო კომისიის მიერ შემუშავებული სია მომავალ კოლექტივის კანდიდატებისა.

კოლექტივის რეორგანიზაცია გადაწყდა მოხდეს 20 იანვარს.

კოლექტივმა აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამართოს ლიტერატურულ დრამატიული საღამო 22 იანვარს კოლექტივის მატერიალურ საშუალებათა გასაძლიერებლად. კომისიას ევალება მოიწვიოს მოხსენებისთვის ამხ. ნ. ხომერიკი.

აღძრულ იქნას ქალაქის მოურავის წინაშე შუამდგომლობა, რათა ამ უკანასკნელმა მოახდინოს განკარგულება ავლაბრის რაიონში ცენტრალურ ადგილზე კოლექტივს მისცეს კიოსკი, სადაც მოეწყობა ჟურნალ-გაზეთებისა და პარტიულ ლიტერატურის გავრცელება.

ვერხვი.

ჯავახეთი. სრულიად გაჩერებულია ამ მაზრაში პარტიული მუშაობა. ბევრი ითქვა და დაიწერა უჯრედების გაძლიერების შესახებ სოფლად, მაგრამ ასეთი მუშაობის ნიშან-წყალიც არა სჩანს. რასაკვირველია, ჩვენი ამხანაგები გართულნი არიან ამა თუ იმ საზოგადო სამთავრობო საქმეებში, მეტადრე ამ მაზრაში, სადაც ძალები სანთლით საძებარია, მაგრამ პარტიული მუშაობა, ყოველ შემთხვევაში, პირველ რიგში უნდა იდგეს.

კარგი იქნება ცეკას პასუხისმგებელი პროპაგანდისტი ხშირად შემოუვლიდეს ხოლმე ამ განაპირა მაზრას და ერთგვარ კონტროლს გაუწევდეს მუშაობას.

თმოგველი.

პროვინცია

ხაჯ. მარადიდი გასულ წლის 4 დეკემბერს შესდგა სოფ. მარადიდის უბნის საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრო დამფუძნებელი კრების წევრი ისიდორე რამიშვილი, ბათომის ოლქის უფროსი მიქაბერიძე, ამხ. ისმაილ დიდიძე და ერთიც მეჯლისის წევრი. ის. რამიშვილმა მოხსენება გააკეთა მომენტისა და დამფუძნებელ კრების მუშაობის შესახებ.

მომხსენებლის სიტყვები დაფარა მქუხარე, ხანგრძლივმა ტაშმა. კრებამ ერთხმად აღუთქვა მთავრობას ერთგულება. ამასთანავე აღნიშნა, რომ არც ერთ გამოსვლების დროს საქართველოს წინააღმდეგ მარადიდის უბანს მონაწილეობა არ მიუღიათ. შემდეგ მოხდა არჩევნები; მარადიდის თემის კომისრათ არჩეულ იქნა ამხ. ჰაიდარ ბერიძე. სოფლის სასამართლოში აირჩიეს ენის ბერიძე, ეაი ახალ-ვაში და სეფერ ნალბანდ ოღლი. სამუსულმანო საქართველოს მეჯლისის წევრათ ისკანდერ ბერიძე. ვუსურვებთ მათ ენერგიულ მუშაობას და დაკისრებული მოვალეობის პირნათლად ასრულებას.

მიხ. ძიმითელი.

ბაქო. აქ მომუშავე ქართველი მუშები დიდ ენერგიას იჩენენ პოლიტიკურ კულტურულ მუშაობაში. ჯერჯერობით გახსნილია უფასო სამკითხველო, დაარსებულია სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია, პროფესიონალური კავშირი და კულტურული სექცია. სახელმწიფო მამულში უმთავრესად რუსებია, რომელთაგან ბევრი ვერ გრძნობს თავს ისე როგორც წარსულში დღეს, როცა რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობა შეიცვალა, ზოგიერთმა მათგანმა ყურები აცქვიტა და სიხარულს ეძლევიან: „სომხეთმა ბოლშევიზმი მიიღო, საქართველოშიაც მალე გადატრიალება მოხდება, კომუნიზმი გვიახლოვდება"-ო და სხ. ამას ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმეორებენ, მაგრამ ჩვენებს ეს სულაც არ აშინებს.

მაგნედი ბზიკი.

ცნობები

ვთხოვ ამხანაგ სახალხო გვარდიელს, რომელსაც შემთხვევით ჩემი პატარა კალათი (წიგნებით ტ ნ—.) წაუყვა თფილისის სადგურზე მატარებლიდან ჩამოსვლის დროს, დამიბრუნოს უკან შემდეგი მისამართით: ბროსეს ქუჩა № 4 მესამე სართული, ვალია დღვლაძეს. გარჯისათვის მიიღებს ჯილდოს.

ვ. პაპულია ორჯონიკიძეს.

თქვენ მე უსამართლოთ ცილს მწამებთ და მცხებთ ჩირქს. ამიტომ წინადადებას გაძლევ უარყოთ თქვენი ნათქვამი იმავე ბალხში, სადაც ჩემს შესახებ გაავრცელეთ ჭორი. თუ ამას არ იზამთ, მაშინ გამომყევით სამედიატორო სასამართლოში. პასუხს ველი სამ დღეში. მედიატორები მყავს.

პლატონ კაციძე.

რედაქტორი ლევან ჩაჩავა.

განცხადებანი

ახალი ტალახით
სამკურნალო
ექიმ
მ. ს ზერნოვისა
კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

ექიმი
ანდრია ვილგელმის ძე
ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოლოვინისა, ბინა № 3, მიღება დილით 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
22— თებ

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (22 თებ.

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ა. მ. მძინარიშვილისა
შუშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

კბილის ექიმი
ქ. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შუშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავადმყოფობანი ავადმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(7 თებ.)

ექიმი **შ. ა. შაშიანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შუშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] ქ. № 23. (13 თებ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროლეკტორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—იანვ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები, [illegible] ქ., 10, ტელეფ. 7—91 (1—თებ).

ექიმი
ვ. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შშ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავად. 5—7 საათ. სადგომ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—თებ.

ა. შ. მარტიროვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შუშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—თებ.)

დოქტორი
ვ. ვ. მეჰრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.
28 იანვ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნევრასთენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 12 ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 16—თებერ.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ა/წ. 20 იანვრიდან **დაიწყება კავშირის ბავშვთა თავშესაფარში ომში დაღუპულ მეომართა უმწეოთ დარჩენილ ობლების მიღება.**

წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. არა ქართველთათვის ქვეშევრდომობის მოწმობა (ქალაქის თვითმართველობათა მიერ გაცემული); 2. მისალებ ბავშვის მამის ნამსახურების სია, ან მოწმობა მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისა მისი სამსახურის შესახებ; 3. სიღარიბის მოწმობა (გაცემული ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ. თემებში კი, თემის გამგეობის მთელი შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი) და 4. მისალებ ბავშვთა მეტრიკული ამოწერილობა. შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნას მთხოვნელის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ (ქალაქის, ან მაზრის ერობის მიერ). თავშესაფარში მიიღებიან ობლები ორივე სქესისა 6-დან 10 წლამდე. თავისუფალია 30 ადგილი. აღზრდა-პატრონობას კავშირი კისრულობს 16 წლის შესრულებამდე.

გამგეობა. (ნ. 7—3)